პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოცემის 45-ე წელი. № 117 (13238) | ხუთშაბათი, 20 მაისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

შვიდწლეული ვადამდე

თბილისის აბრეშუმის საქსოვი ფაბრიკის კოლექტივმა კარგი მაჩვენებლები მოიპოვა მიმდინარე ოთხ თვეში. მან საერთო პროდუქციის გამოშვების გეგმა 110,8 პროცენტით შეასრულა და გეგმის გადამეტებით გამოუშვა 13 ათას 400 მეტრი აბრეშუმისა და 59 ათასი მეტრი ხამი ქსოვილები.

აქ ფართოდ გაშლილია შიდასაფაბრიკო სოციალისტური შეჯიბრება. პირველი კვარტალის შედეგების საფუძველზე გარდამავალი დროშა დაისაკუთრა ჯ. ჯიჯიაშვილის მქსოველთა კომუნისტური შრომის ბრიგადამ, რომელმაც 112,4 პროცენტით შეასრულა კვარტალის დავალება. კარგად შრომობს აგრეთვე ი. მელქაძის კომუნისტური შრომის ბრიგადა, რომელმაც პირველი ხარისხის პროდუქციის გამოშვების გეგმა გაანაღდა.

ზ. სისაური.

ქუთაისი. (საკ. კორ.). ელექტრომექანიკური ქარხნის კოლექტივმა გადაჭარბებით შეასრულა როგორც აპრილის, ისე ოთხი თვის დავალება და სამშობლოს 116 ათასი მანეთის ზეგეგმითი პროდუქცია მისცა.

ორჯონიკიძე. ბაკალიის — გრეხილი ფაბრიკის კოლექტივმა ოთხ თვეში პროდუქციის [illegible] 2 200 მანეთის ეკონომია მიიღო. [illegible] გეგმით გათვალისწინებულთან შედარებით ზედმეტად გამოშვებულია 4.200 სკამი. შრომის ნაყოფიერების ოთხი თვის დავალება შესრულებულია 102 პროცენტით.

თბილისის შალის საქსოვმა ფაბრიკამ საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის დავალება 105,7 პროცენტით შეასრულა. [illegible] ათასი მეტრი ქსოვილი გამოუშვა.

თბილისის სართავ-სატრიკოტაჟო კომბინატმა საერთო პროდუქციის გამოშვების ოთხი თვის საწარმოო დავალება 105.9 პროცენტით გაანაღდა და გეგმის გადამეტებით 863 ათასი მანეთის პროდუქცია მიაწოდა მომხმარებელს.

თბილისის ქალალდის ფაბრიკის კოლექტივმა ოთხ თვეში გეგმის გადამეტებით 13 ტონა ქალალდი და 28 ტონა მუყაო აწარმოვა. თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 23 ათასი მანეთის ეკონომია.

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაიონული რგოლი

ოთხი თვეა მუშაობენ პარტიის ახალი სასოფლო რაიკომები. მათ თავიანთი პრაქტიკული საქმიანობა გაშალეს ხელშემწყობ პირობებში, რომლებიც შექმნა სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა. სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ეკონომიურად დასაბუთებული ღონისძიებანი, რომლებიც პლენუმმა შეიმუშავა, ძირეულად ცვლიან ვითარებას სოფლად, ხელს უწყობენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცებას, შრომის შედეგებით სოფლის მშრომელთა მატერიალური დაინტერესების გადიდებას, უზრუნველყოფენ ობიექტურ პირობებს, რომლებიც საშუალებას გვაძლევს გეგმაზომიერად ვავითარებდეთ სასოფლო-სამეურნეო წარმოებას.

ახლა ყველაფერი დამოკიდებულია პარტიულ ორგანიზაციათა მეცადინეობაზე, ენერგიაზე, სიბეჯითეზე, მათს უნარზე დარაზმონ ადამიანები სოფლის მეურნეობის წინაშე დასახულ დიდ ამოცანათა შესასრულებლად. ამ პირობებში განუზომლად იზრდება მოთხოვნები რაიკომებისადმი. მათს საქმიანობაში მთავარია ის, რომ ყოველდღიურად იზრუნონ ადამიანებისათვის, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განმტკიცებისათვის, სოფლის მეურნეობის პროდუქტების წარმოების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების ყველა დარგის რენტაბელობის უზრუნველყოფისათვის.

როგორც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ორგანო, პარტიის რაიკომი ერთიანებს და წარმართავს რაიონის საბჭოთა, სამეურნეო, საზოგადოებრივი ორგანიზაციების საქმიანობას, ხელმძღვანელობს მთელ მის პოლიტიკურ, ეკონომიურ და კულტურულ ცხოვრებას, პასუხისმგებელია ყველაფრისათვის. მაგრამ იგი როდი სწევს ამ ორგანიზაციების მაგივრობას, ცდილობს მაქსიმალურად გამოიყენოს მათი ძალები, ინიციატივა საერთო საქმის ინტერესებისათვის.

პოლიტიკა, აღნიშნავდა ვ. ი. ლენინი, ადამიანთა მეოხებით ხორციელდება. ადამიანებთან, კადრებთან მუშაობა, მათი შერჩევა, სწორი განაწილება და აღზრდა იყო და არის ორგანიზაციულ-პარტიული მუშაობის საფუძველი. ახლა, როცა კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს შეექმნათ განვითარების ხელსაყრელი ეკონომიური პირობები, წარმატება დამოკიდებულია უწინარეს ყოვლისა მათი ხელმძღვანელობის ცოდნაზე, გამოცდილებაზე, მეურნის საზრიანობაზე.

მეტ წილ რაიკომებს კარგად ესმით ეს. კოლმეურნეობების თავმჯდომარეებისა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორების კადრების შემდგომ განმტკიცებასთან ერთად წარმოებს სისტემატური მუშაობა ბრიგადირების, ფერმების გამგეების, განყოფილებათა ხელმძღვანელების შემადგენლობის გასაუმჯობესებლად. ამ პოსტებზე აწინაურებენ სპეციალისტებს, რომლებსაც აქვთ ორგანიზატორული ნიჭი, უნარი იმუშაონ ადამიანებთან. ამ მხრივ ბევრი რამ გაკეთდა უკვე რუსეთის სფს რესპუბლიკაში, უკრაინაში, ბელორუსიაში, ყაზახეთში, მოლდავეთში, ლატვიასა და სხვა რესპუბლიკებში.

ბევრ მხარეს და ოლქში, კერძოდ ალტაის მხარეში, პარტიის რაიკომებმა შეისწავლეს საქმის ვითარება და გამოიტანეს დასკვნა, რომ უახლოეს დროში არ არის იმის შესაძლებლობა, რომ ყველა კოლმეურნეობის, ბრიგადისა და ფერმის სათავეში ჩააყენონ სპეციალისტები. ამიტომ მათ გადაწყვიტეს სპეციალისტთა შერჩევასა და დაწინაურებასთან ერთად მოაწყონ პრაქტიკოს მუშაკთა მასობრივი დაუწერებელი და საღამოს სწავლა სასოფლო-სამეურნეო უმაღლეს სასწავლებლებსა და ტექნიკუმებში. ამასთან ერთად რაიკომები უფრო მეტად ზრუნავენ სოფლის მეურნეობის სპეციალისტთა შემადგენლობის ამაღლებისათვის, მათი ნაყოფიერი მუშაობის პირობების შექმნისათვის.

ხელმძღვანელთა, სპეციალისტთა, სოფლის მშრომელთა აქტივობასა და ინიციატივას რომ ავითარებენ, როცა აღმოფხვრიან ყოველივეს, რაც ხელს უშლიდა და უშლის გამოიყენონ მინიჭებული უფლებანი წარმოების ორგანიზაციასა და დაგეგმვაში, პარტიის რაიკომებმა ამავე დროს უნდა სრულყონ კონტროლი და შემოწმება პარტიისა და მთავრობის დირექტივების შესრულებისა, იბრძოლონ იმისათვის, რომ მტკიცედ იყოს ერთმანეთთან შეხამებული კოლმეურნეობების ინტერესები და სახელმწიფოს ინტერესები. უნდა განვამტკიცებდეთ პარტიულ, სახელმწიფო და შრომის დისციპლინას, ვზრდიდეთ თითოეული მუშაკის პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის.

პირველი ნაბიჯებიდანვე პარტიის რაიკომები ისწრაფვიან სრულყონ თავიანთი საქმიანობის სტილი და მეთოდები, გადაჭრით მოიშორონ თავიდან ყოველივე დანაშრევი პარტიულ მუშაობაში, აღკვეთონ მბრძანებლობისა და ადმინისტრირების, წვრილმანი მეურვეობის ცდები, პარადულობის, ხმაურისა და ბაქიაობის გამოვლინებანი. რაიონული რგოლის მუშაკები ითვალისწინებენ, რომ პარტიული ორგანიზაციების, მათი კომიტეტების ხელმძღვანელი როლი მით უფრო გაიზრდება, რაც უფრო თანამიმდევრულად დაიცავენ პარტიული ცხოვრების ლენინურ პრინციპებსა და ნორმებს. საჭიროა კვლავაც მტკიცედ ვადევნებდეთ თვალყურს იმას, რომ განუხრელად ხორციელდებოდეს კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპი, იზრდებოდეს პლენუმებისა და ბიუროების როლი, ვითარდებოდეს შინაპარტიული დემოკრატია, კრიტიკა და თვითკრიტიკა, რომ თითოეული კომუნისტი იმსჭვალებოდეს თავისი ორგანიზაციის, თავისი კოლექტივის საქმისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით.

მხედველობაში უნდა ვიქონიოთ, რომ მარტო სურვილით როდი შეიძლება აღმოვფხვრათ ადმინისტრირების, კანცელარულობის, სასხდომო ფუსფუსის ჩვეულებანი. სურვილთან ერთად ამისათვის უნდა ვცდილობდეთ. და იქ, სადაც ამას არ ვცდილობთ, შესაძლებელია მანკიერი მოქმედების რეციდივები. ყაბარდო-ბალყარეთის ასსრ პარტიული აქტივის კრებაზე, მაგალითად, გააკრიტიკეს ბაქსანის რაიკომის ბიურო იმის გამო, რომ კადრებისადმი მომთხოვნელობას იგი ცვლის სასჯელით, ხოლო საქმიან მუშაობას — სასხდომო ფუსფუსით.

რაიონული რგოლის მუშაკებმა უნდა შეითვისონ და განავითარონ პარტიის რაიკომების საუკეთესო ტრადიციები, რომლებიც დამკვიდრდა სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის მათი საქმიანობის მრავალი წლის მანძილზე, შემოქმედებითად გამოიყენონ ყოველივე დადებითი, რაც შეძენილია უკანასკნელ წლებში. სოფლის მშრომელებს უკვე დიდი ხანია რაიკომები მიაჩნიათ პარტიის მებრძოლ წარმომადგენლებად, თავდადებულ მუშაკებად, რომლებიც მჭიდროდ არიან დაკავშირებული მასებთან, იზიარებენ მათს სიხარულსა და მწუხარებას, ცხოვრობენ ერთი ფიქრითა და საზრუნავით. მათი მაღალი იდეურობა, გარჯილობა, თავის თავისა და სხვებისადმი მომთხოვნელობა, უბრალოება და გულგაშლილობა, უნარი სიმართლეს ეუბნებოდნენ ადამიანებს, ყურადღება მშრომელი ადამიანისადმი, მისწრაფება შენაშნონ კარგი თაოსნობა, მხარი დაუჭირონ მოწინავე გამოცდილებას, შეურიგებლობა ნაკლოვანებებისადმი — საუკეთესო რაიკომელთა ეს და სხვა შესანიშნავი თვისებანი ყოველნაირად უნდა განვავითაროთ.

პარტიული კომიტეტების ძალა ის არის, რომ უნარი შესწევდეთ დაარწმუნონ და დარაზმონ მასები, განავითარონ მათი შემოქმედებითი აქტივობა. მშრომელთა შორის პოლიტიკური, იდეურ-აღმზრდელობითი მუშაობა რაიკომების მთელი საქმიანობის უმნიშვნელოვანესი შემადგენელი ნაწილია. რაიკომების, პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მუდამ უნდა იყოს კადრების, ყველა კომუნისტისა და უპარტიოს პოლიტიკური განათლების, იდეური, მარქსისტულ-ლენინური წრთობის საკითხები. ჩვენი პარტიის გამოცდილება გვასწავლის: რაც უფრო მაღალია მუშაკთა იდეური დონე და თეორიული მომზადება, მით უფრო კვალიფიცირია მათი ხელმძღვანელობა მასებისადმი, მით უფრო ნაყოფიერია მთელი პრაქტიკული საქმიანობა.

ნაყოფიერი მუშაობის აუცილებელი პირობაა რაიკომების ზრუნვა კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების პირველად პარტიულ ორგანიზაციათა როლის განმტკიცებისა და ამაღლებისათვის, ყოველდღიური დაყრდნობა ამ ორგანიზაციებზე. მეტწილ მეურნეობებში მოქმედებენ მტკიცე პარტიული ორგანიზაციები, რომლებსაც შეუძლიათ გადამწყვეტი გავლენა მოახდინონ წარმოებაზე, ადამიანთა ყოფაცხოვრებაზე. მაგრამ ჯერ კიდევ ცოტა როდია ისეთი პირველადი პარტორგანიზაცია, რომლებიც ვერ ახდენენ შესამჩნევ ზეგავლენას კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების სამეურნეო საქმიანობაზე.

აქ ბევრ რამეში ბრალი რაიკომებს მიუძღვით. რაიკომების მუშაკთა ნაწილს ჯერ კიდევ ვერ დაუღწევია თავი ძველი შეხედულებისათვის პირველადი პარტიული ორგანიზაციების შესაძლებლობებზე, არ ზრუნავენ მათი ორგანიზატორული და პოლიტიკური საქმიანობის მოწყობისათვის. ავიღოთ, მაგალითად, პარტიის ტობოლის რაიკომი (ყამირის მხარე). იგი არ არის დაინტერესებული ჯეროვნად იმით, თუ როგორაა განაწილებული კომუნისტთა ძალები, რა საქმიანობას ეწევიან პირველადი პარტორგანიზაციები. და აი შედეგი: რაიონის 3.790 მექანიზატორს შორის მხოლოდ 235 კომუნისტია. ამავე დროს ეს ხომ ძირითადი და გადამწყვეტი პროფესიაა ყამირზე! ამაის სახელობის საბჭოთა მეურნეობაში 200 ტრაქტორისტს შორის მხოლოდ 5 კომუნისტია, ხოლო მწყემსებს შორის — მხოლოდ ერთი. და განა გასაკვირია, რომ ახლა მინდვრის სამუშაოთა დღეებში, აქ არ იგრძნობა ჯეროვანი პარტიული გავლენა ბრიგადებში.

პარტია, მისი ცენტრალური კომიტეტი დიდ იმედებს ამყარებენ რაიონულ კომიტეტებზე, რომლებიც პრაქტიკულად წყვეტენ კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების, სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა განხორციელების პასუხსაგებ ამოცანებს. ახლა ისინი განსაკუთრებით ზრუნავენ იმისათვის, რომ წარმატებით დაამთავრონ საგაზაფხულო და საზაფხულო მინდვრის სამუშაოები, მტკიცე საფუძველი ჩაუყარონ სოფლის მეურნეობის ყველა პროდუქტის წარმოების გადიდებას. სოფლის კომუნისტთა, სოფლის მოწინავე მშრომელთა მრავალრიცხოვან არმიაზე დაყრდნობით, იმით, რომ სრულყოფენ თავიანთი მუშაობის სტილსა და მეთოდებს, რაკომები გაამართლებენ პარტიისა და ხალხის იმედს.

გიორგი ტრაიკოვი ეწვია ა. ნ. კოსიგინს

ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი 19 მაისს ეწვია სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარეს ა. ნ. კოსიგინს.

ა. ნ. კოსიგინსა და გ. ტრაიკოვს შორის გაიმართა საუბარი, რომელმაც გულთბილ, გულითად ვითარებაში ჩაიარა. (საკდესი).

გიორგი ტრაიკოვი მოსკოვიდან გაემგზავრა

მოსკოვი. 19 მაისი. (საკდესი). დღეს მოსკოვიდან სამშობლოში გაემგზავრა ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სახალხო კრების პრეზიდიუმის თავმჯდომარე გიორგი ტრაიკოვი, რომელიც მეგობრულ ვიზიტად იყო საბჭოთა კავშირში სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის მოწვევით.

ვნუკოვოს აეროდრომზე საპატიო სტუმარი გააცილეს ამხანაგებმა კ. ტ. მაზუროვმა, ა. ი. მიკოიანმა და სხვა საბჭოთა სახელმწიფო და პარტიულმა მოღვაწეებმა, დედაქალაქის მშრომელთა წარმომადგენლებმა.

ლალ ბაკადურ შასტრი ჩავიდა ტაშკენტში

ტაშკენტი, 18 მაისი (საკდესი). დღეს სალამოს ინდოეთის პრემიერ-მინისტრი ლალ ბაჰადურ შასტრი ჩავიდა ტაშკენტში.

მოსკოვის მეტროს 30 წლისთავი

მოსკოვი, 18 მაისი. (საკდესის კორ.). დღეს არმიის ცენტრალური სასპორტო კლუბის სპორტის სასახლეში შეიკრიბნენ მოსკოველი მეტროს საუკეთესო ადამიანები. აქ გაიმართა დედაქალაქის მიწისქვეშა გზის მუშაობის 30 წლისთავისადმი მიძღვნილი სალამო.

მოხსენება გააკეთა მეტროპოლიტენის სამმართველოს უფროსმა ა. ფ. ნოვოხაკინმ. მან აღნიშნა, რომ თავისი არსებობის მანძილზე ქალაქის მიწისქვეშა რკინიგზის ხაზების სიგრძე ერთი ათად გადიდდა და ამჟამად 108 კილომეტრს შეადგენს. უახლოეს ხუთ წელიწადში მეტროს ხაზების სიგრძე თითქმის კიდევ ერთ-ნახევარჯერ გადიდდება. 30 წლის მანძილზე ცისფერმა ექსპრესებმა გადაიყვანეს 20 მილიარდზე მეტი კაცი.

საღამოზე მოსკოვის მეტროს წარმომადგენლებს გადაეცათ რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოსა და საკავშირო პროფსაბჭოს გარდამავალი წითელი დროშა. ამ დროშით მიწისქვეშა გზის კოლექტივი დაჯილდოვეს კარგი მუშაობისათვის პირველ კვარტალში.

საკდესის ცნობა

როგორც ცნობილი გახდა, მიმდინარე წლის 10-დან 18 მაისამდე კარპატისპირა საშხედრო ოლქის ფარკლებში მიმდინარეობდა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიების უმაღლეს მეთაურთა შემადგენლობის შეკრება. შეკრებას დ-ესწრნენ: თავდაცვის მინისტრები, გენერალური შტაბების უფროსები, მთავარ პოლიტიკურ სამმართველოთა უფროსები და სხვა პირები.

მოეწყო ტაქტიკური წვრთნა, დემონსტრირებული იყო შეიარაღებისა და საბრძოლო ტექნიკის ახალი ნიმუშები, აგრეთვე გაიმართა აზრთა ურთიერთგაზიარება სამხედრო მშენებლობის სხვადასხვა საკითხზე.

შეკრებამ ჩაიარა ვარშავის ხელშეკრულების ქვეყნების არმიათა ერთიანობისა და საბრძოლო თანამეგობრობის სულისკვეთებით და მეტად სასარგებლო იყო ყველა მონაწილისათვის.

კუბის პარტიული სკოლების დირექტორები საქართველოში

საქართველოში სტუმრად არის კუბის რესპუბლიკის პროვინციული პარტიული სკოლების დირექტორთა ჯგუფი კუბის ერთიანი სოციალისტური რევოლუციის პარტიის პარტიული სკოლების ეროვნული ხელმძღვანელობის ლუის როდრიგესის მეთაურობით. ისინი სწავლობენ პარტიული მუშაობისა და პარტიული მუშაკების მომზადების გამოცდილებას ჩვენს რესპუბლიკაში.

კუბის პარტიული მუშაკები სტუმრად იყვნენ თბილისელ მეფეხსაცმელეებთან, რუსთაველ ქმიკოსებთან და მეტალურგებთან, ბორჯომელ მედიკებთან.

დღეს ლენინგრადში მოსკოვს მიემგზავრება. (საკდესი).

ჩვენს ლიად საკავშირო

ამერიკელ აგრესორთა ხრიკები!

ხელები შორს ვიეტნამისაგან!

მოსკოვი. მოსკოვის ლოკომოტივშემკეთებელი ქარხნის ათასზე მეტი მუშა, მოსამსახურე, ინჟინერ-ტექნიკური მუშაკი შეიკრიბა საპროტესტო მიტინგზე ვიეტნამში ამერიკის აგრესიის წინააღმდეგ. მუშებს ხელში უჭირავთ პლაკატები: „შეწყდეს ომი!“, „მოვითხოვთ— ხელები შორს ვიეტნამისაგან!“, „ჩვენ ატომური ომის წინააღმდეგი ვართ!“.

მიტინგი გახსნა პარტიული კომიტეტის მდივანმა ს. ს. მალიშევმა.

— ამერიკის შეერთებული შტატების მმართველ წრეებს, — თქვა მან, — სურთ უკარნახონ სხვა ქვეყნების ხალხებს, თუ რა წესწყობილება უნდა ჰქონდეთ საკუთარ ქვეყანაში. ცდილობენ შეიარაღებული ძალით დათრგუნონ ისინი, ვინც ქედს არ იხრის მათ წინაშე. ჩვენ ვეუბნებით იმპერიალისტებს: „ვერაფერს მიაღწევთ“ აგრესორებო, გაეთრიეთ ვიეტნამიდან!“.

შემდეგ გამოვიდნენ ინჟინერი გ. ი. კოვალიოვა, მექანიკური საამქროს მდივანი ა. გ. სუსლოვი, სრულიად საკავშირო ალკა კომიტეტის მდივანი ბ. ა. შაინოვა, რომლებმაც მკაცრად დაგმეს ამერიკელი აგრესორები.

სიროსიმა და ნაგასაკი არ უნდა გამეორდეს

თბილისი. კაცობრიობას ჯერ არ დავიწყებია იაპონიაში ამერიკის შეერთებული შტატების მიერ ჩამოყრილი ატომური ბომბები, — თქვა ვიეტნამში ამერიკის იმპერიალიზმის სამხედრო აგრესიის წინააღმდეგ საპროტესტო მიტინგზე თბილისის კიროვის სახელობის ჩარხსაშენებელი ქარხნის მეხანძრემ ს. გოჩიტაშვილმა. — ამერიკის მთავრობის ახალმა განცხადებამ ვიეტნამში ატომური იარაღის გამოყენების შესაძლებლობის შესახებ არ შეიძლება არ აღაშფოთოს პროგრესული კაცობრიობა. დედამიწის ყველა პატიოსანი ადამიანი მტკიცედ აცხადებს პროტესტს ატომური შანტაჟის წინააღმდეგ, რასაც ვაშინგტონი მიმართავს.

მიტინგზე წარმოთქმული თითოეული სიტყვა გამსჭვალული იყო ძმური მეგობრობისა და სოლიდარობის გრძნობით ვიეტნამელი ხალხისადმი, რომელიც უკვე ოცი წელია გმირულ განმთავისუფლებელ ბრძოლას აწარმოებს. (საკდესი).

ოქროს ვარსკვლავი დედაქალაქს

19 მაისს კავშირების სახლის სვეტებიან დარბაზში ბ-ხნა მოსკოვის მშრომელთა დეპუტატების საქალაქო სხდომა. სესიის დღის წესრიგში: დედაქალაქს მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ამოცანები მოსკოვისათვის „გმირი ქალაქის“ სამპატიო წოდების მინიჭებასთან დაკავშირებით.

სესიას თავმჯდომარედ არჩეულია დეპუტატი ნ. გ. ეგორიჩევი — სკკპ მოსკოვის საქალაქო კომიტეტის პირველი მდივანი. მოხსენება გააკეთა მოსკოვის საბჭოს აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. ფ. პრომისლოვმა.

სესიის მუშაობაში მონაწილეობენ გმირი ქალაქების ლენინგრადის, კიევის, ვოლგოგრადის, სევასტოპოლის, ოდესის, ბრესტის გმირი ცხე-სიმაგრის დელეგაციები, აგრეთვე მოსკოვის ოლქიდან, ნოგინსკიბირსკიდან და სვერდლოვსკიდან ჩამოსული სტუმრები.

სესიაზე სიტყვა წარმოთქვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის წევრმა, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ ა. ნ. კოსიგინმა. (საკდესი).

ვ. ი. ლენინის თხზულებათა ორმოცდამეცამეტე ტომი

გამოვიდა ვ. ი. ლენინის რჩეულ თხზულებათა 53-ე ტომი, რომელიც მოამზადა სკკპ ცენტრალურ კომიტეტთან არსებულმა მარქსიზმ-ლენინიზმის ინსტიტუტმა და გამოუშვა პოლიტიკური ლიტერატურის გამომცემლობამ. ტომში შევიდა 1921 წლის ივნის-ნოემბერში დაწერილი წერილები, ჩანაწერები და დეპეშები.

ამ დოკუმენტების მნიშვნელოვანი ნაწილი ეძღვნება ეკონომიური მშენებლობის საკითხებს — მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის, ელექტროფიკაციის აღდგენას. მთელ რიგ წერილებში დასახულია სახალხო მეურნეობის დაგეგმვის, აღრიცხვისა და სტატისტიკის ორგანიზაციის გაუმჯობესების ღონისძიებანი როგორც ეკონომიკის მეცნიერული ხელმძღვანელობის, სამეურნეო ანგარიშისა და მატერიალური დაინტერესების პრინციპის განხორციელების დიდმნიშვნელოვანი ფაქტორი.

წერილებში, ჩანაწერებსა და დეპეშებში მკაფიოდ არის ასახული მუშაობის ლენინური სტილი. ვ. ი. ლენინი განუხრელად ახორციელებდა კოლექტიური ხელმძღვანელობის პრინციპს და ამასთან ხაზს უსვამდა, თითოეული მუშაკის პირად პასუხისმგებლობას მინდობილი საქმისათვის, მოითხოვდა პარტიული და სახელმწიფო დისციპლინის მტკიცე დაცვას, გამჯელობასა და ორგანიზებულობას მუშაობაში.

ბევრი დოკუმენტი, რომლებიც ამ ტომში შევიდა, ახასიათებს საბჭოთა სახელმწიფოს მშვიდობისმოყვარულ საგარეო პოლიტიკას, შეიცავენ ლენინურ მითითებებს იმის შესახებ, რომ საბჭოთა რესპუბლიკას ეკონომიური ურთიერთობა მოეწესრიგებინა კაპიტალისტურ ქვეყნებთან. ამავე დროს ვ. ი. ლენინი გვაფრთხილებდა შესაძლო სამხედრო ავანტიურების შესახებ იმპერიალისტთა მხრივ და მოგვიწოდებდა გაგვეძლიერებინა ჩვენი ქვეყნის თავდაცვისუნარიანობა.

მიმოწერა ასახავს ვ. ი. ლენინის ბრძოლას საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის ერთობისათვის, ყველა ქვეყნის პროლეტარიატის ძალების შეკავშირებისათვის.

53-ე ტომი შეიცავს 575 წერილს, ჩანაწერსა და დეპეშას, რომელთაგან 552 წინა გამოცემებში არ შესულა, 93 დოკუმენტი პირველად ქვეყნდება.

ნორჩ ლენინელთა ზეიმი

გაზაფხულის ეს შესანიშნავი დღე კიდევ უფრო გაალამაზეს ბავშვებმა — ჩვენი ცხოვრების ყვავილებმა. წითელყელსახვევიანი გოგონებები გამოსულან ქეჩაში. რესპუბლიკის რაიონებსა და ქალაქებს თბილისში გამოუგზავნიათ წარმომადგენლები, ყველას თვალები უბრწყინავს, — ზეიმში მონაწილეობისათვის მათ ეწვევნენ რაგელი, ლენინგრადელი, ბაქოელი, ერევანელი პიონერები, რომლებიც გულწრფელად იზიარებენ თანატოლების ზე მს. ზეიმობს სიცოცხლე და ახალგაზრდობა.

მოზეიმე ბავშვების ფიქრები და აზრები მიპყრობილი იყო ჩვენი რესპუბლიკის დედაქალაქის გელოსაკენ — ლენინს მოეფინაკენ. გუშინ აქ ტარდებოდა საქართველოს პიონერთა რესპუბლიკური შეკრება, მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 95 წლისთავისადმი. ამ დიდებულ ზეიმს ემთხვევა აგრეთვე ვ. ი. ლენინის სახელობის საკავშირო პიონერული ორგანიზაციის 43-ე წლისთავი და პიონერული რაზმეულების საკავშირო ლენინური დათვალიერების პირველი წლის დასასრული.

დღის 5 საათი და 15 წუთია. გამოჩნდა მეტროშუთა კოლონა... ლენინის მოედანს მწყობრი, ლაღი ნაბიჯებით უახლოვდებ-ან პიონერები. ეი შემოაბიჯეს გოგო ბიჭებმა, და ცაში აიჭრნენ მშვიდობის ემბლემები — მტრედები, ასობით ნაირფერადი ბურთები, მოდიან პიონერები და მოაქვთ ლენინის პორტრეტი, თანამგზავრის მაკეტი, გამოჩდნენ ნორჩი კოსმონავტები. ისინი დინჯად, ძლიერად მოაბიჯებენ კოსმონავტების მარშის აკომპანემენტზე... ბავშვები გამწკრიალდნენ შეკრების საზეიმო ხაზზე.

გაისმა ფანფარების ხმა.. სხვადასხვა რაიონების პიონერული რაზმეულების პატაკს იბარებს პიონერთა საქალაქო შტაბის თავმჯდომარე, 23-ე საშუალო სკოლის მოსწავლე ლევან კილასონია. კვლავ გაისმის ფანფარების ხმა, და მარშს ხმაზე ბავშვებს შემოაქვთ პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური დროშა. საზეიმო ხაზზე მოვიდნენ ამერკავკასიის სამხედრო ოლქის წარმომადგენლები, რომლებმაც საბრძოლო დროშა გადასცეს პიონერებს.

კვლავ ფანფარების ხმა.. დაიძრა პიონერების ჯგუფი. ისინი გვერგვინთ ამბობენ კაცობრიობის დიდი გენიის ლენინის ძეგლს.

პიონერებს მიესალმება და დღესასწაულს მიულოცავს საქართველოს ალკკ ცენტრალური კომიტეტის მდივანი, პიონერთა რესპუბლიკური საბჭოს თავმჯდომარე ნ. გურგენიძე; სიტყვით გამოდის ძველი კომკავშვილი ფაანა გეგეშიძე, რომელიც შეხვედრია ლენინს, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი ვ. ლენინის სახელობის ელმავალსაშენებელო ქარხნის კომუნისტური შრომის ბრიგადის ბრიგადირი ვ. პაპინაშვილი, ამერკავკასიის სამხედრო ოლქის პოლიტსამმართველოს უფროსის თანაშემწე კომკავშვილი მუშაობის დარგში მაიორი ვ. კოლიადენკო. მომძე რესპუბლიკების პიონერთა სახელით შეკრებილთ მიესალმნენ ლენინგრადელი და ერევნელი პიონერები.

დღეს მთელ ქალაქში გრძელდება ზეიმი. პიონერთა სასახლის დარბაზებში გაიმართება „გონჭებამახვილთა ტურნირი“, მოეწყობა შეგობრობის ფესტივალი. საღამოს სპორტის სასახლეში გაიმართება დიდი კონცერტი და მოხდება შეკრების საზეიმოდ დახურვა.

ე. მამალაძე.



სურათზე: პიონერთა საზეიმო სვლა თბილისში ლენინის სახელობის მოედანზე 1965 წლის 19 მაისს.

ფოტო ვლ. გინზბურგისა.

გუმბრინი კაპროლაქტამის წარმოებაში

• სიახლე ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიაში •

ამას წინათ მოსკოვიდან მიიღეს ცნობა, რომ საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა კათედრისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის თანამშრომლებს პროფესორ ნ. ბექაურს, რ. გაფრინდაშვილს, ი. გრძელიძეს და გ. იაშვილს, რომლებმაც ადგილობრივი თიხამიწის გუმბრინის ფენოლის მაჰიდრირებელ კატალიზატორად გამოყენების საშუალება აღმოაჩინეს, სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტმა მიაკუთვნა საავტორო მოწმობები და დაჯილდოდა მედლებით როგორც მნიშვნელოვანი აღმოჩენის ავტორები.

პროფესორ ნ. ბექაურისა და პროფ. ნ. შუიკინის სახელი მიეკუთვნება აგრეთვე გუმბრინისა და ასკანის თიხის თანაობისას მაღალმოლეკულური ნორმალური ალკანების დეჰიდროპოლიციკლიზაციის რეაქციის შედეგად მიღებულ პროდუქტს ლუმინაფორს, რომელსაც ეწოდა „შუბეკოლი". ეს სიტყვა წარმოადგენს კომპოზიტს და ნიშნავს მეთოდის ავტორთა გვარების პროფ. ნ. შუიკინის და პროფ. ნ. ბექაურის გვართა პირველი მარცვლების შეერთებას.

ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიაში შეტანილ ამ სიახლეთა მნიშვნელობა პროფ. ნ. ბექაურმა ჩვენს თანამშრომელს განუმარტა:

— ჯერ კიდევ 1778 წელს გამოჩენილმა მეცნიერმა პრისტლიმ შეამჩნია ბუნებრივი თიხამიწის ალუმინსილიკატის კატალიზური თვისება. მკვლევარმა თიხის გახურებულ მილში ეთილის სპირტის ორთქლის გატარებით მიიღო წყლის ცვარი და საწვავი გაზი — ეთილენი. ამრიგად პირველად იქნა აღმოჩენილი ბუნებრივი თიხამიწის კატალიზური თვისება წყლის წართმევის რეაქციის მიმართულებით. აღნიშნული რეაქცია შეისწავლეს სხვა მეცნიერებმაც, რომლებმაც დაადგინეს, რომ თიხა რთული ქიმიური შემადგენლობისაა და კარგ კატალიზატორად უნდა მივიჩნიოთ. ამ რეაქციაში მთავარ როლს ალუმინის და სილიციუმის უანგეულები ასრულებენ.

ჩვენს დროში ამ გამოკვლევამ დიდი გამოყენება ჰპოვა ძირითადი ორგანული სინთეზის კატალიზურ-ტექნოლოგიური პროცესების წარმართვის საქმეში. ცნობილია, რომ ალუმინის უანგის საშუალებით მიმდინარეობს სხვადასხვა კატალიზური რეაქცია, რომლებსაც გარკვეული საწარმოო მნიშვნელობა აქვთ.

ჩვენი რესპუბლიკა მდიდარია ბუნებრივი თიხამიწებით — ალუმინსილიკატებით. სახელწოდება „ალუმინსილიკატი" გამომდინარეობს მისი ქიმიური შემადგენლობიდან, რომლის წამყვან კომპონენტებს წარმოადგენენ ალუმინისა და სილიციუმის უანგეულები. ასეთი შემადგენლობისა არიან გუმბრინი და ასკანის თიხა, რომელთა ქიმიური ბუნების შესახებ წავლად თავის დროზე დიდი გამოკვლევები მოახდინეს აკადემიკოსმა ა. თვალჩრელიძემ და პროფესორმა ი. ფილატოვმა. ამჟამად ამ მიმართულებით ნაყოფიერ მუშაობას ეწევიან საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსი გ. ციციშვილი, იმავე აკადემიის წევრი-კორესპონდენტი ქ. არეშიძე, ამიერკავკასიის მინერალური ნედლეულის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის დოცენტები ვ. მერაბიშვილი, ო. მდივნიშვილი და სხვ.

ჩვენმა ბუნებრივმა თიხებმა (გუმბრინი, ასკანთიხა) თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით სახელი გაითქვეს რესპუბლიკის ფარგლებს გარეთაც. მათ დიდი რაოდენობით იყენებენ ზეთების გაწმენდის ტექნოლოგიური პროცესების, სხვადასხვა ნახშირწყალბადთა კონტაქტურ-კატალიზური გარდაქმნის რეაქციებისას. გუმბრინის და ასკანთიხის თანაობისას, ე. ი. ორივე სახეობის ამ თიხის მონაწილეობით მიმდინარეობს მაღალმოლეკულური ნორმალური ალკანების დეჰიდროპოლიციკლიზაციის რეაქცია, რომელიც წარმოადგენს საფუძველს სამრეწველო მნიშვნელობის მქონე ახალი პროდუქტის ლუმინაფორ-შუბეკოლის მისაღებად. აღნიშნული რეაქციის დიდ მნიშვნელობას ისიც ადასტურებს, რომ სსრ კავშირის გამოგონებათა და აღმოჩენათა სახელმწიფო კომიტეტის მიერ გამოცემულია სარეგისტრაციო და საავტორო მოწმობები, ხოლო ავტორები დაჯილდოებული არიან მედლებით.

განვაგრძობთ რა აღნიშნული მიმართულებით კვლევითს მუშაობას, მიზნად დავისახეთ კაპროლაქტამის წარმოებაში გამოვიყენოთ გუმბრის თიხა. ცნობილია, რომ მონომერ კაპროლაქტამის ფენოლური სქემით მიღების საწყის ეტაპს წარმოადგენს ფენოლი (წყალბადის მიერთება), რის შედეგადაც ვიღებთ საწარმოო პროდუქტს — ციკლო — ჰექსანოლ-ანოლს. ამჟამად ჰიდრირირების პროცესი წარმოებს ძვირადღირებული კატალიზატორით, რაც რუსთავის კაპროლაქტამის წარმოებას ყოველწლიურად რაოდენობამ ათეული ტონის რაოდენობით სჭირდება. ეს კატალიზატორი სხვა შორეული რესპუბლიკებიდან შემოგვაქვს. გარდა სატრანსპორტო-ტექნიკური სიძნელისა, ამ კატალიზატორს დიდი რაოდენობით სჭირდება ისეთი ძვირადღირებული ფერადი ლითონები. როგორიც არის ნიკელი, ალუმინი, ქრომი და სხვ. ყოველივე ეს გავლენას ახდენს საბოლოო პროდუქტის თვითღირებულებაზე.

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრაზე მიმდინარეობს კვლევითი მუშაობა ფენოლის მაჰიდრირებელ კატალიზატორად ადგილობრივი თიხამიწა — გუმბრინის გამოყენების შესაძლებლობის დასადგენად. რამდენიმე წლის გულმოდგინე მუშაობამ დაგვარწმუნა, რომ ჩვენს თიხას სპეციალური დამუშავების შედეგად შეუძლია მთლიანად შეცვალოს ძვირადღირებული შემოტანილი კატალიზატორი, რომელსაც დღეს რუსთავში იყენებენ.



ფოტო შ. ჩხეტიანისა.

მეცნიერ-მკვლევართა შემდგომი მუშაობა საფეხურია ამ კატალიზური რეაქციის ნახევრადსაკარხნო დანადგარზე შესრულება. ეს მუშაობა მიმდინარეობს რუსთავის ქიმიკოსებთან შემოქმედებითი თანამეგობრობით, სახელდობრ რუსთავის ქიმკომბინატის მთავარი ინჟინრის ივ. გრძელიძის, ინჟინერ გ. იაშვილის, ბიდრირების საამქროს უფროსის, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიის კათედრის დაუსწრებელი სწავლების ასპირანტის ზ. კერვალიშვილის მონაწილეობით. უკვე აწყობილია და მუშაობს სპეციალურად დანადგარი, რომელიც საკარხნო დანადგარის ანალოგიურია.

გუმბრინის და ასკანთიხის კატალიზური თვისებების უფრო ღრმად შესწავლისათვის გაჩაღებულ კვლევითს მუშაობაში ჩაბმული არიან ჩვენი კათედრის ბოლო კურსის სტუდენტები: გ. გორდაძე, თ. გეგენავა, გ. ჯაფარიძე, ნ. ჩუბინიძე, ე. ქერდიყაშვილი, ნ. კიკილაშვილი და სხვ., რომლებმაც უკვე მიიღეს გაწეული მუშაობის მაღალი და ავტორიტეტული შეფასება.

ყველა საბაბი გვაქვს ვივარაუდოთ, რომ ჩვენი ნიჭიერი, ახალგაზრდა მეცნიერი მუშაკებისა და რუსთავის ქიმიური კომბინატის კოლექტივის მონაწილეობა ორგანულ ნივთიერებათა ტექნოლოგიაში სიახლის შეტანის საქმეში სრული წარმატებით დამთავრდება, მრეწველობის ამ დარგშიც ქართველი სპეციალისტები თავიანთ ნოვატორულ სიტყვას იტყვიან.

• • •

სურათზე (მარცხნიდან მარჯვნივ): ასპირანტი ზ. კერვალიშვილი და პროფესორი ნ. ბექაური კაპროლაქტამის ქარხნის ანოლის საამქროში ცდების დროს.

ქართული მარქით — საზღვარგარეთ

ეროვნული ორმოცდაათზე მეტი ხელსაწყო

ამ დღეებში თბილისის ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოების ქარხნის კოლექტივმა ვიეტნამში, ჩინეთში, არაბეთის გაერთიანებულ რესპუბლიკასა და საზღვარგარეთის სხვა ქვეყნებში გაგზავნა სხვადასხვა დასახელების ორმოცდაათზე მეტი ხელსაწყო. მათ შორის მოდერნიზებული ჰიდროლოგიური ტრიალები, გალვანომეტრები, წყლის ტემპერატურის გასაზომი თერმომეტრის სამარჯვები და სხვ.

მალე თბილისური ჰიდრომეტეოროლოგიური ხელსაწყოები — ბაროგრაფები, მეტეოროლოგიური ანძები და საზღვაო ლარტყები გაიგზავნება აგრეთვე ბირმაში, კუბასა და იემენში.

მეგობრულ გულგარეთში

რუსთავი. (საკ. კორ.). მჭიდრო მეგობრობა აკავშირებს ქართველ მეტალურგებსა და ბულგარელ მშრომელებს. ამ დღეებში რუსთაველმა მეტალურგებმა სხვადასხვა დიამეტრის მილები გაუგზავნეს ქ. სტარაია ზაგორას აზოტო�sანი სასუქების, კრემიკოვცის მეტალურგიული ქარხნის, ბურგასის ნავთობგადამმუშავებელი ქარხნისა და სხვა საწარმოთა კოლექტივებს.

ბულგარეთიდან მოვიდა ბარათი, რომლითაც შორეულ მეგობრებმა მადლობას უხდიან რუსთაველებს დაკვეთების დროულად და ხარისხიანად შესრულებისათვის.

მაღალი შეფასება

ჟუთაისი. (საკ. კორ.). არტეზიული ტუმბოები და საშახტო ელმავლები, რომლებსაც ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხანა უშვებს, ახლა მსოფლიოს ათზე მეტ ქვეყანაში იგზავნება.

ამ დღეებში ქარხანაში მიიღეს ცნობა, რომ „ატ-10" ტიპის არტეზიულმა ტუმბოებმა, რომლებიც ოთხი წლის წინათ გაიგზავნა ირანში, კარგი საექსპლოატაციო თვისებები აჩვენა და დღემდე შეუფერხებლად მუშაობს.

ახლახან არტეზიული ტუმბოების საათადარიგო ნაწილები გაიგზავნა არაბთა გაერთიანებულ რესპუბლიკაში, სადაც ქუთაისურ ელექტროტუმბოებს წარმატებით იყენებენ ახუანის კაშხლის მშენებლობაზე და კაიროს ანტიბიოტიკების ქარხანაში.

წელს საშახტო ელმავლები და ტუმბოები გაიგზავნა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში, ბულგარეთსა და ავღანეთში. შიდაწვისძრავიანი წყალსატუმბავები გაიგზავნა კუბის რესპუბლიკაში.

ასე დაიწყო მეგობრობა

ტყიბული. (საკ. კორ.). გელოთადი მეგობრობა დამყარდა ორგ. მომმე რესპუბლიკის — ლიტვისა და საქართველოს პიონერთა შორის. ეს მეგობრობა კი ასე დაიწყო. ქ. ვილნიუსის 27-ე სკოლის პიონერები დაინტერესდნენ გერმანელი ოკუპანტებისაგან მშობლიური ქალაქის განთავისუფლების ისტორიით. ისინი ხშირად დადიოდნენ ვილნიუსის ძმათა სასაფლაოზე, სურდათ გაეგოთ ქალაქის განთავისუფლებისათვის ბრძოლაში დაღუპულ მეომართა ვინაობა. ერთ-ერთი საფლავის ქვის გაწმენდის დროს გამოჩნდა წარწერა — „მებრძოლი ლადიკო ზედაშიძე".

ქართველია, მაგრამ მაინც რომელი სოფლიდან თუ ქალაქიდან? იქნებ მისმა დედამ, ცოლმა, შვილებმა არაფერი იცინან ამის შესახებ, თქვეს პიონერებმა და სსრ კავშირის თავდაცვის სამინისტროს მისწერეს ეცნობებინათ მეომრის მისამართი. მალე მისამართიც მიიღეს.

ვილნიუსელმა პიონერებმა სოფელ ორპირის საშუალო სკოლაში გამოგზავნეს ბარათი. ისინი იტყობინებოდნენ, რომ სათუთად ინახავენ მათი ქალაქის განთავისუფლების დროს ბრძოლაში დაღუპულ ზედაშიძის ხსოვნას და მზრუნველად უვლიან მის საფლავს, იალიან ანტერესებთ მებრძოლის ბიოგრაფია.

ორპირელმა პიონერებმა მოძებნეს და ინახულეს ლ. ზედაშიძის ღრმად მოხუცებული დედა ანეტა და გადასცეს ვილნიუსელ პიონერთა დანაბარები.

ამის შემდეგ პიონერთა ურთიერთობა არ შეწყვეტილა. ისინი სისტემატიურად სწერენ ერთმანეთს წერილებს, უზიარებენ შთაბეჭდილებებს.

ვილნიუსელი ბავშვები თავიანთ წერილებში არ ივიწყებენ გმირი მებრძოლის ლ. ზედაშიძის მოხუც დედასაც. ინტერესებთ მისი ცხოვრება და ჯანმრთელობა. ორპირელ პიონერებს კი ყველა წერილი ანეტასთან მიაქვთ და მოხუცს მწუხარებას იმსუბუქებენ.

მუშამ რომ ისწავლოს...

საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტი რუსთავის სალამოს სწავლებია ფაკულტეტს დიდი ხნის ისტორია არა აქვს. მისი პირველი გამოშვება წელს მოხდება. ინდუსტრიულ რუსთავს შემატება 48 ინჟინერი სამი სპეციალობით: მანქანათმშენებელი, მშენებელი და ქიმიკოსები. სულ საღამოს სწავლების ფაკულტეტზე სწავლობს 425 სტუდენტი. ესენი არიან მეტალურგიული და ცემენტის ქარხნის, ქიმიური კომბინატი და მშენებელი ორგანიზაციების მუშა-მოსამსახურეები.

ფაკულტეტს აგებული აქვს სასწავლო ლაბორატორიები და ყველა საჭირო პირობა სწავლების ნორმალურად წარმართვისათვის.

სწავლის დისციპლინის ამაღლებას ემსახურება სტუდენტთა საბჭო, რომელიც დაკომპლექტებულია აკადემიური ვალეფების მაძიებლებისგან. გარდა ამისა, შექმნილია და აქტიურ შემოქმედებითს მუშაობას ეწევა ფაკულტეტის საბჭო, რომლის მიზანია წარმოადგინოს ფაკულტეტზე ეფექტური საკითხების გადაწყვეტა და სწავლის ორგანიზაციის ხელმძღვანელობა.

ფაკულტეტის დეკანატმა ქალაქის პარტიულ და კომკავშირულ ორგანიზაციებთან კონტაქტის გაფართოების მიზნით მოაწყო ქალაქის საწარმო-დაწესებულებების ხელმძღვანელთა შეკრება. ეს შეკრება მთლიანად მიეძღვნა იმ გზებისა და საშუალებების გამოხატვას, რომლებიც გააუმჯობესებენ ფაკულტეტის აკადემიური წარმატების დონეს და აამაღლებენ სტუდენტ ახალგაზრდობაში პოლიტ-აღმზრდელობითს მუშაობას. ამან და ამის მსგავსმა სხვა ღონისძიებებმა დადებითი შედეგი გამოიღო. მიმდინარე სასწავლო წელს იანვრის შედეგების მიხედვით ჯავაქს 87-პროცენტიანი წარმატება. ფაკულტეტი კარგ მუშაობას ეხდა მიეწეროს, რომ 29 აკადემიური ჯგუფიდან 15 ჯგუფში 100-პროცენტიანი წარმატებაა, მაგრამ, ჩემი აზრით, მიღწეული წარმატება როდი უნდა გვამშვიდებდეს. საბუნებრივ, წარმატებებთან ერთად გვაქვს ნაკლოვანებებიც. ყველაზე სუსტ უბად ჩვენს მუშაობაში ითვლება ლექციათ-სემინარების უმეჩხეროდ გაცდენა. ეს კი მთელ რიგ შემთხვევაში იწვევს სტუდენტების იმავე კურსზე დატოვებას, ანდა ინსტიტუტის მიტოვებას. ზოგჯერ არის სწავლისადმი გულის აცრეტების ფაქტებიც.

სად უნდა ვეძიოთ ყოველივე ამის მიზეზი?

ეფუქრობ, ეს ასე უნდა აიხსნას: სტუდენტების კონტაქტი ფაკულტეტთან მეტად სუსტია. სტუდენტები და მათი პროფესორ-მასწავლებლები ერთმანეთს მხოლოდ ლექციებზე ხვდებიან. დანარჩენ დროს მუშა-სტუდენტები დასაქმებული არიან საწარმოებში.

ბევრ არ შეიძლება წარვდგეთ საწარმოთა პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების წინაშე წინადადებით — შექმნან კომისია ან სექტორი, რომელიც მხოლოდ სტუდენტი მუშების სწავლის საკითხებზე იმუშავებს?

ეფიქრობთ, ეს ღონისძიება აამაღლებს სტუდენტი ახალგაზრდობის სწავლისა და პოლიტიკური მომზადების დონეს.

შემდეგი დიდმნიშვნელოვანი საკითხია სტუდენტების მუშაობა ცვლაში. ცხადია, ცვლაში მუშაობის დროს სტუდენტი აცდენს ლექცია-სემინარებს და ლაბორატორიულ მუშაობას, რასაც დიდგანსაკუთრებულ ზეგავლენა ეს ... ...

საერთაშორისო ცხოვრება

მეგობრობისა და კეთილმეზობლობისათვის

ანკარა, 19 მაისი (საკდესი). თურქეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა ჰასან იშიკმა გუშინ სადილი გამართა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს პატივსაცემად, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება აქ. სადილზე, რომელმაც მეგობრულ ვითარებაში ჩაიარა, ორივე საგარეო საქმეთა მინისტრმა სიტყვები წარმოთქვა.

სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ოფიციალური ვიზიტი თურქეთში ოცდაათ წელზე მეტი ხანგამოშვების შემდეგ, განაცხადა თავის სიტყვაში ჰასან იშიკმა, უეჭველია, მოვლენაა, რომელსაც განსაკუთრებული აზრი და მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვეყნების ურთიერთობის თვალსაზრისით.

ორი ქვეყნის სახელმწიფო მოღვაწეთა ვიზიტების გაცვლა, რაც ამ ბოლო დროს ხდება, ხაზი გაუსვა მინისტრმა, ნათლად მოწმობს, რომ დადებითად ვითარდება თურქეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა.

ამ კეთილმეზობლურ მეგობრულ ურთიერთობას, აღნიშნა მან, საფუძველი ჩაუყარეს ათათურქმა და ლენინმა, როცა ჩვენი ხალხები ძმაზე ბრძოლას აწარმოებდნენ თავიანთი არსებობისათვის. ურთიერთობის ასეთი განვითარება, თქვა შემდეგ ჰასან იშიკმა, ისეთ მაღალ მიზანს ისახავს, როგორიც არის მშვიდობა ჩვენს რაიონსა და მთელ მსოფლიოში.

სიტყვა წარმოთქვა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრმა ა. ა. გრომიკომ, მადლობა გადაიხადა გულთბილი შეხვედრისა და მეგობრული სიტყვებისათვის, რომლებიც საბჭოთა სახელმწიფოსა და საბჭოთა ხალხის მიმართ წარმოითქვა. საბჭოთა მთავრობა, თქვა ა. ა. გრომიკომ, მზად არის და სურს ხელი შეუწყოს თურქეთისა და საბჭოთა კავშირის ურთიერთობის განვითარებას. რა თქმა უნდა, ხაზი გაუსვა საბჭოთა მინისტრმა, ეს შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თურქეთი ამავე მიზანს ესწრაფვის.

წარსულის გამოცდილება, თქვა შემდეგ ა. ა. გრომიკომ, მოწმობს, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის, მიუხედავად სხვადასხვა საზოგადოებრივი სისტემისა, შეიძლება იყოს ყველაზე კარგი, ნამდვილად კეთილმეზობლური ურთიერთობა. ამის შესანიშნავი მაგალითი გვიჩვენეს ვ. ი. ლენინმა და ქ. ათათურქმა.

თავისი გამოსვლის დასასრულს ა. ა. გრომიკომ წარმოთქვა საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის გაუმჯობესების, ორივე ქვეყნის მეგობრობის სადღეგრძელო.

ა. ა. გრომიკო მიიღეს თურქეთის სელმძღვანელობამ

ანკარა, 18 მაისი. (საკდესი). დღეს დღის პირველ ნახევარში თურქეთის პრეზიდენტმა ჯემალ გიურსელმა მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და მეგობრულად ესაუბრა მას.

დღესვე თურქეთის პრემიერ-მინისტრმა ურგიუპლუმ მიიღო სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო და ესაუბრა მას საბჭოთა კავშირისა და თურქეთის ურთიერთობის საკითხებზე.

ვიზიტი გრძელდება

სტამბოლი, 19 მაისი. (საკდესი). დღეს ანკარიდან სტამბოლში ჩამოვიდა სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრი ა. ა. გრომიკო, რომელიც ოფიციალურ ვიზიტად იმყოფება თურქეთში. საბჭოთა დელეგაცია მთელ დღეს გაატარებს სტამბოლში, დაათვალიერებს ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, ძველ ძეგლებს, მუზეუმებს.

თურქეთის პრესა ა. ა. გრომიკოს ვიზიტის შესახებ

ანკარა, 18 მაისი. (საკდესი). თურქეთის პრესა და რადიო დაწვრილებით ამუქებენ სსრ კავშირის საგარეო საქმეთა მინისტრის ა. ა. გრომიკოს თურქეთში ყოფნას.

„თურქეთ-საბჭოთა კავშირის დაახლოება უნდა მივიჩნიოთ ერთ-ერთ ცვლილებად, რომელსაც ცხოვრება გვიკარნახებს, — წერს გაზეთ „ჯუმჰურიეთის“ საერთაშორისო საკითხთა მიმოხილველი ჯ. საგლამერი. — ჩვენ იმის მოწმენი ვართ, რომ თურქეთის საზოგადოებრივ აზრში სულ უფრო მეტად იბადება გულწრფელი სურვილი გადაისიხოს მოდიდან ვამოსული შეხედულებანი, რომლებიც ამ ბოლო დრომდე ჭარბობდა ორი ქვეყნის ურთიერთობაში“.

გაზეთ „ულუსის“ მოწინავე სტატიაში შ. ბაბაბი წერს: „ჩვენ განსაკუთრებით გვსურს ხაზი გავუსვამ, რომ ამაყოფილებას ვგრძნობთ, როცა მივუსალმებით რუსეთის — ჩვენი მეზობლისა და მეგობრის წარმომადგენელს“.

„საგარო პოლიტიკა და საერთაშორისო ურთიერთობა, — წერს შემდეგ ავტორი, — ნდობას ემყარება, ამჟამად ჩვენ გვსურს, რომ ორივე ქვეყანამ პატივი აცეს ერთმანეთის უფლებებს, გააძლიეროს ნდობის ატმოსფერო და მოსპოს ეჭვის ნაშთები“.

ატომი—კეთილ მიზანს

შეთანხმება სსრ კავშირსა და საფრანგეთს შორის

1965 წლის 4 მაისს მოსკოვში სსრ კავშირისა ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტმა და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას მშვიდობიანი მიზნით ატომური ენერგიის გამოყენების დარგში თანამშრომლობის შესახებ.

ეს შეთანხმება განხორციელდა 1960 წელს დადებული შეთანხმებისა და ითვალისწინებს გაცვლათა გარკვეულ პროგრამას ორი წლის აკრიდიანისათვის. ახალი შეთანხმება, რომელიც დაიდო კულტურული, მეცნიერული და ტექნიკური ურთიერთობის შესახებ საბჭოთა კავშირ-საფრანგეთის ოქმის ფარგლებში, ითვალისწინებს გაცვლებს, რომლებიც განხორციელდება 1965 და 1966 წლებში.

შეთანხმება ითვალისწინებს:

— სხვადასხვა დარგის (ატომური ელექტროსადგურები, საკალეი რეაქტორები, რადიოიზოტოპური ხარჩენელია კადამუშავება, იზოტოპების წარმოება და სხვ.) სპეციალისტთა ვიზიტების გაცვლას;

— მართული თერმთბატომური რეაქციების, პლაზმის ფიზიკის, ამჩქარებლებზე საექსპერიმენტო სამუშაოების და ბირთვული ფიზიკის დარგის სპეციალისტ-მკვლევართა გაცვლას;

— ინფორმაციისა და დოკუმენტების გაცვლას, ამასთან იმ პრობლემებზე ორმხრივი მეცნიერული სემინარების მოწყობას, რომელსაც ერთად შეიისწავლიან.

გარდა ამისა, სსრ კავშირის ატომური ენერგიის გამოყენების სახელმწიფო კომიტეტი და საფრანგეთის ატომური ენერგიის კომისარიატი ყოველწლიურად გამართავენ თათბირებს იმ მიზნით, რომ დაახუსტონ გაცვლათა პროგრამები მომდევნო წლისათვის და, თუ საჭირო იქნა, გააფართოონ ამ შეთანხმებით გათვალისწინებული თანამშრომლობის სფერო.

(საკდესი).

თანამშრომლობა განახლდა

18 მაისს მოსკოვში ხელი მოაწერეს ოქმს იმის შესახებ, რომ გააგრძელონ საბჭოთა კავშირისა და კორეა სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის შეთანხმების მოქმედების ვადა.

შეთანხმება თანამშრომლობის შესახებ, რომელიც ათი წლის წინათ დაიდო ორ სახელმწიფოს შორის, ითვალისწინებს, კერძოდ, მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგის მეცნიერულ-ტექნიკური ინფორმაციის ფართო ურთიერთგაცვლას. (საკდესი).

ვიეტნამელი ბავშვები ამერიკელ ოკუპანტებს

სამხრეთ ვიეტნამის ხალხს მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი განაგრძოს ბრძოლა აღვირახსნილი აგრესორების წინააღმდეგ. პატრიოტები სულ ახალ და ახალ დარტყმებს აყენებენ ამერიკელი ოკუპანტების დასაყრდენ პუნქტებსა და ბაზებს.

სურათზე: თქვენ ხედავთ სამხრეთ ვიეტნამის განმათავისუფლებელი არმიის ერთ-ერთი რაზმის მებრძოლებს. მათ სახეზე აღბეჭდილი აქვთ სიმტკიცე და გამარჯვების რწმენა.

საკდესის ფოტოქრონიკა.

ეროვნული ბრძოლა

ამერიკელ ოკუპანტებს

ვილიონელები სმარდება შეიარაღებას

ვაშინგტონი, 18 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ჯონსონმა კონგრესს სთხოვა დამატებით 6.260.000 დოლარი ამერიკის შეერთებული შტატების სანაპირო დაცვის საჭიროებისათვის. კონგრესისათვის გაგზავნილ წერილში აღნიშნულია, რომ დამატებითი სახსრები საჭიროა, რათა შეიცვალოს 17 ხომალდი, რომლებიც ვიეტნამის ნაპირებისაკენ გაიგზავნა.

ვაშინგტონი, 19 მაისი. (საკდესი). შეერთებული შტატები კვლავ ადიდებენ სამხედრო ძალებს სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიაში. ამას მოწმობს ამერიკის შეერთებული შტატების თავდაცვის მინისტრის მაკნამარას მემორანდუმი, რომელიც გუშინ გამოაქვეყნა თეთრმა სახლმა. მემორანდუმში მაკნამარა განმარტავს, თუ რა დამატებითს სამხედრო სჭეროებებს მოახმარენ ამერიკის შეერთებული შტატები 700 მილიონ დოლარს, რომელიც ამ ცოტა ხნის წინათ გამოუყო კონგრესმა პენტაგონს. როგორც მემორანდუმიდან ჩანს, რომელიც პრეზიდენტ ჯონსონს წარედგინა, ეს უზარმაზარი თანხა მოხმარდება ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო მიზნების მიღწევას ვიეტნამში.

368,8 მილიონი დოლარი მოხმარდება „ჰაერ-მიწის“ კლასის რაკეტებს, ბომბებსა და ვაზნებს, 152,6 მილიონი დოლარი გამოიყოფა იმ ხარჯების დასაფარავად, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები სწევენ, რათა თავიანთი ჯარები გადაიყვანონ და შეიარაღება გადაიტანონ ვიეტნამში.

აგრესორთა ახალი თავდასხმა

ნიუ-იორკი, 19 მაისი. (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სამხედრო-საზღვაო ავიაციის თვითმფრინავები დღეს კვლავ დაესხნენ თავს ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიას. თავდასხმაში მონაწილეობდა 40 ავიაგამანადგურებელ-ბომბდამშენი. ამერიკის საინფორმაციო საგენტოების ცნობით, მათ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიის ობიექტებს დააყარეს 50 ტონა ბომბი და რაკეტა.

ფაქტები ამხილებენ

ჰანოი, 18 მაისი. (საკდესი). ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს პრესის განყოფილების გამგემ ლე ჩანგმა აქ პრეს-კონფერენციაზე განაცხადა, რომ უკანასკნელი დღეების ფაქტები ამხილებენ ამერიკის შეერთებული შტატების განცხადებას, ვითომ ამერიკის ავიაციას დროებით შეეწყვიტოს საჰაერო თავდასხმები ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე.

13 მაისს, თქვა მან, ამერიკის თვითმფრინავებმა მოახდინეს სადაზვერვო ფრენა ხგ-ანის, ხა-ტინის პროვინციებში და კონ-კოს კუნძულზე, რაკეტები დაუშინეს იმ პროვინციების მჭიდროდ დასახლებულ პუნქტებსა და კომუნიკაციებს.

13 მაისიდან, განაცხადა ლე ჩანგმა, ამერიკის თვითმფრინავები ყოველდღე დაფრინავენ ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე დაზვერვისა და პროვოკაციის მიზნით. სწორედ გუშინ მათ რაკეტები დაუშინეს ნგეანის, ხა-ტინის და კუანგ-ბინის პროვინციების ზოგიერთ რაიონს. ამ თავდასხმების დროს ჩამოგდებულია რაკეტიანი ავიაგამანადგურებელი ბომბდამშენი „ფ-105“.

დღეს თავდასხმები გრძელდებოდა. 16 საათზე ადგილობრივი დროით ამერიკის თვითმფრინავებმა ცეცხლი დაუშიხეს ხონ მატის კუნძულს ხგე-ანის პროვინციის წყლებში, ხოლო 18 საათსა და 45 წუთზე — ამ პროვინციის კომუნიკაციებს.

ეს ფაქტები ამხილებენ ამერიკის განცხადებათა ყალბ ხასიათს, ხაზი გაუსვა ლე ჩანგმა.

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის მზრუნველობა

პრაღა, 18 მაისი. (საკდესი). აქ გამოქვეყნდა ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის სამდივნოს განცხადება იმასთან დაკავშირებით, რომ 23-30 მაისს მოეწყობა „მებრძოლი ჟიგულნელი ხალხისადმი სოლიდარობის კვირეული“.

როგორც ჩეხოსლოვაკიის დელეგათა საავენტო იუწყება, ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაცია მოუწოდებს პრესის ყველა ორგანოს ამ კვირეულის მანძილზე გამოაქვეყნონ სპეციალური ანკეტა. მკითხველებმა ანკეტაში პასუხი უნდა გასცენ შემდეგ კითხვებზე: რა აუცილებელი ღონისძიება უნდა განხორციელდეს მშვიდობის განმტკიცებისათვის დედამიწაზე, იმ ხალხების განთავისუფლებისათვის, რომლებიც კოლონიალიზმის უღელქვეშ იტანჯებიან, საყოველთაო და სრული განიარაღებისათვის? რა შეუძლია გააკეთოს თითოეულმა ადამიანმა ამ მიზნების მისაღწევად?

ჟურნალისტთა საერთაშორისო ორგანიზაციის აზრით, საუკეთესო პასუხის ავტორები უნდა დაჯილდოდნენ, მაგალითად, საგზურებით მშვიდობის მსოფლიო კონგრესზე ჰელსინკიში ან ახალგაზრდობისა და სტუდენტთა საერთაშორისო ფესტივალზე ალჟირში. გაცხადებაში გამოთქმულია რწმენა, რომ ასეთი ანკეტა ხელს შეუწყობს მსოფლიო საზოგადოებრივი აზრის მობილიზაციას და მშრომელთა ყველაზე ფართო მასებში გამოიწვევს სურვილს აქტიურად ჩაებან მთელ მსოფლიოში მშვიდობისათვის ბრძოლაში.

ფიდელ კასტროს გამოსვლა

ჰავანა, 19 მაისი. (საკდესი). კუბის პრემიერ-მინისტრმა ფიდელ კასტრომ განაცხადა, რომ შეერთებული შტატების დანაშაულებრივი მოქმედება დომინგოს რესპუბლიკაში ამქარავნებს ამერიკის იმპერიალიზმის ნამდვილ სახეს. მან აღტაცებით ილაპარაკა ომზე, თუ რა გმირულად ებრძვიან დომინგოელი პატრიოტები ადგილობრივ რეაქციონერებსა და ამერიკელ ინტერვენტებს. ფიდელ კასტრომ სიტყვა წარმოთქვა 18 მაისს ქალაქ მატანსასის საერთო საჯარისო სასწავლებლის ოფიცრთა საზეიმო გამოშვებაზე.

კასტრომ დაწვრილებით დაახასიათა კუბის შეიარაღებული ძალების განვითარება ამ ბოლო წლებში. მან აღნიშნა, რომ კუბის შეიარაღებულმა ძალებმა სერიოზული წარმატებანი მოიპოვეს თავიანთი საბრძოლო მზადყოფნის ამაღლებასა და თანამედროვე საბრძოლო ტექნიკის დაუფლების საქმეში. კუბელმა მეორეებმა, ხაზგასმით აღნიშნა პრემიერ-მინისტრმა, მუდამ უნდა განაახლონ თავიანთი ცოდნა, რადგან ომის შემთხვევაში მათ მთ მოუწევთ ამერიკის იმპერიალიზმის წინააღმდეგ, რომელიც გაზრდილ ცდილობს სრულყოს აგრესიის საშუალებანი. იმპერიალისტური თავდასხმა არ იქნება მოულოდნელი კუბელებისათვის, აღნიშნა კასტრომ, რადგან აქ კარგად იცნობენ მტრის ტაქტიკას.

კასტრომ დიდი ყურადღება დაუთმო დომინიგოს რესპუბლიკის უკანასკნელ ამბებს. მან აღნიშნა, რომ დომინგოს ამბების შედეგად ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ განიცადა ყველაზე სერიოზულ კრიზისს თავის ისტორიაში. იგი უკვე ვეღარ ემსახურება კარგად თავის იმპერიალისტ პატრონებს და ვერ უწევს კონტროლს სანტო-დომინგოს მდგომარეობას. ამასთან დაკავშირებით კუბის პრემიერ-მინისტრმა სასაცილოდ აიგდო ეგრეთ წოდებული „მრავალმხრივი ძალები“, რომლებიც ამერიკის სახელმწიფოთა ორგანიზაციამ შექმნა დომინგოს რესპუბლიკაში მოქმედებისათვის. მან თქვა, რომ ამ ძალებს საერთო სარდლობაც კი არ გააჩნიათ და ლათინური ამერიკის ბევრი ქვეყნის მთავრობები ვერ ბედავენ თავიანთ ჯარები გაგზავნონ ამ ძალების შემადგენლობაში, რადგან ეშინიათ, რომ ამ ჯარებს „გადაედებათ“ დომინგოელ პატრიოტთა სულისკვეთება.

ამერიკა-სამხრეთ კორეის კომუნიკე

ვაშინგტონი, 19 მაისი. (საკდესი). ამერიკა-სამხრეთ კორეის ერთობლივ კომუნიკეში, რომელიც აქ გამოქვეყნდა, ნათქვამია, რომ ამერიკის შეერთებული შტატები კვლავაც გაუწევენ სამხედრო და ეკონომიურ დახმარებას სამხრეთ კორეას. „პრეზიდენტმა ჯონსონმა, — აღნიშნულია კომუნიკეში, — განაცხადა, რომ შეერთებულ შტატებს კვლავ ეკოლებათ მძლავრი შეიარაღებული ძალები სამხრეთ კორეაში და დახმარებას გაუწევენ სამხრეთ კორეის შეიარაღებულ ძალებს, რათა ისინი იყვნენ იმ დონეზე, რომელიც საკმარისია, რომ ამერიკის შეერთებული შტატების ჯარებთან ერთად უზრუნველყონ თავიანთი ქვეყნის უშიშროება“.

პრეზიდენტი ჯონსონი და სამხრეთ კორეის პრეზიდენტი კომუნიკეში ადასტურებენ თავიანთ განზრახვას „ანაგრძონ მჭიდრო თანამშრომლობა ვიეტნამის რესპუბლიკის“, ესე იგი საიგონის რეჟიმის მხარდასაჭერად.

კომუნიკედან ჩანს, რომ ჯონსონმა მაღალი შეფასება მიაცა სამხრეთ კორეის გადაწყვეტილებას დიპლომატიური ურთიერთობა დამყაროს იაპონიასთან.

კომუნიკეს ავტორები ცდილობენ საქმე ისეთნაირად წარმოადგინონ, თითქოს კორეის ფელოვნური გათიშვაცათვის პასუხისმგებლობა ეკისრებოდეთ არა შეერთებულ შტატებსა და მათს სამხრეთკორეელ მარionეტებს, არამედ კორეის სახალხო-დემოკრატიულ რესპუბლიკას.

ეროვნული ბრძოლა

ამერიკელ ოკუპანტებს

ეროვნული ბრძოლა

ამერიკელ ოკუპანტებს

მდგომარეობა დომინგოს რესპუბლიკაში

ჰავანა, 18 მაისი. (საკდესი). დღეს სანტო-დომინგოს ჩრდილოეთ უბნებში განახლდა ბრძოლები დომინგოელ პატრიოტებსა და გენერალ იბერტის სამხედრო-სამოქალაქო ხუნტის ჯარებს შორის. პატრიოტები კონსტიტუციური მთავრობის ძირითადი ძალებისგან მოწყვეტილი არიან კორდოროით, რომელიც მთელ ქალაქში დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ შექმნეს ამერიკელთა საოკუპაციო ჯარებმა. მიუხედავად ძალთა უთანასწორობისა, პატრიოტები მეოთხე დღეა წარმატებით იგერიებენ ხუნტის ჯარების იერიშებს, რომლებიც იყენებენ ტანკებს, ქვემეხებსა და ნაღმსტყორცნებს. როგორც პრენსა ლატინას საააგენტო იუწყება, ამერიკელთა სატვირთო მანქანებს ბრძოლის რაიონში გადაპყავთ ხუნტის ახალი ძალები.

მხედრიონი ფიზიკური გაძლიერით ემეკრება პატრიოტებს. ხუნტის საგარეო საქმეთა მინისტრმა დღეს მუქარით განაცხადა, რომ მოსპობენ ყველას, ვინც დაუყოვნებლივ არ შეწყვეტს წინააღმდეგობას. მეცხოვრენი, რომლებმაც შეძლეს გასულიყვნენ ჩრდილოეთ უბნებიდან, სადაც ბრძოლა მიმდინარეობს, აგვიწერენ ხუნტის ჯარისკაცთა მხეცობას. ჯალათები ხვრეტენ უიარაღო ადამიანებს. ერთი ქალის თვალწინ მოკლეს 8 წლის ბიჭი.

ამერიკის ჯარები, რომლებსაც არაერთხელ განუცხადებიათ, რომ ნეიტრალიტეტს იცავენ, ყოველ ღონისძიებით ეხმარებიან რეაქციულ ხუნტას. დღეს ამერიკელ პარაშუტისტთა ქვეგანაყოფმა 106 მილიმეტრიანი ქვემეხის ცეცხლი დაუშინა პატრიოტთა პოზიციებს და მოსპო ერთი ტანკი. როგორც პრენსა ლატინას საააგენტო იუწყება, საზღვაო ქვეითთა ჯარისკაცები დღეს ცეცხლს უშენდნენ სანტო-დომინგოს მცხოვრებლებს.

ჰავანა. 18 მაისი (საკდესი). დომინგოს რესპუბლიკის სიდიდით მეორე ქალაქ სანტიაგო-დე-კაბალიეროსში გაიმართა საყოველთაო გაფიცვა.

როგორც პრენსა ლატინას საააგენტოს კორესპონდენტი სანტო-დომინგოდან იუწყება, ქალაქში სავსებით შეწყვეტა მუშაობა ყველა საწარმომ და დაწესებულებამ. ასი ათასზე მეტმა ადამიანმა გაბედა პროტესტი დომინგოელი ხალხის საქმეებში ამერიკის შეერთებული შტატების შეიარაღებული ჩარევის წინააღმდეგ.

გაფიცვის მონაწილეებმა მოითხოვეს, რომ ამერიკამ დაუყოვნებლივ გაიყვანოს ჯარები დომინგოს რესპუბლიკიდან. მათ განაცხადეს, რომ მტკიცედ უჭერენ მხარს მთავრობას, რომელსაც მეთაურობს დროებითი პრეზიდენტი კაამანიო.

ეროვნული ბრძოლა

ამერიკელ ოკუპანტებს

მეცნიერის პრობლემები

ამ დღეებში სოხუმში მუშაობა დაამთავრა საერთაშორისო სიმპოზიუმმა სიმსივნეთა სპეციფიკურ ანტისხეულთა შესახებ. სიმპოზიუმის მონაწილეებმა, მსოფლიოს გამოჩენილმა მეცნიერებმა განიხილეს მედიცინის ერთ-ერთი აქტუალური პრობლემა და წარმოადგინეს მეცნიერული ინფორმაცია ავთვისებიან სიმსივნეთა წინააღმდეგ ბრძოლაში მოპოვებულ უახლეს მიღწევებზე.

„კომუნისტის“ კორესპონდენტმა სიმპოზიუმის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარეს, სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილ წევრს, პროფესორ ლ. ზილბერს სთხოვა მოეთხრო ჩვენი გაზეთის მკითხველებისათვის განხილულ პრობლემაზე.

ქვემოთ ვბეჭდავთ პროფესორ ლ. ზილბერის სტატიას.

ერთი პრობლემის საიდუმლოება

კიბოს გუნებების შესწავლის აწმყო და ნომავალი

ადამიანი ამოცანის წინაშე — გამოიყოს სიმსივნეებიდან ცილები, რომლებიც პასუხისმგებელი არიან იმუნიტეტის წარმოშობისათვის. ასეთივე ამოცანა იდგა ცოლ-ქმარ კიურის წინაშე, როცა მრავალ ტონა ურანის მადნიდან ისინი მილიგრამის მცირე ნაწილაკ რადიუმს იღებდნენ. ასეთივე ამოცანა იდგა ფლემინგის წინაშე, რომელმაც დაგვანახვა, რომ სითხეში, რომელშიც სოკო „პენიცილიუმი“ იზრდება, უდიდესი სამკურნალო ძალის ნივთიერებაა.

მაგრამ კიბოს იმუნოლოგიის წინაშე მდგომი ამოცანა გაცილებით უფრო რთულია. კიურისა და ფლემინგს არა მარტო უხვად ჰქონდათ მასალა, რომლიდანაც საძიებელი ნივთიერება უნდა მეიღოთ, არამედ ზუსტი მარტივი ტესტიც მის გამოსაცნობად. ონკოლოგებს არც ერთი აქვთ და არც მეორე. ამიტომ სიმსივნის საწინააღმდეგო იმუნიტეტისათვის პასუხისმგებელი ანტიგენების გამოყოფის მეთოდების ძებნა განსაკუთრებით რთული და ძნელი საქმეა. და არაფერი არ არის გასაკვირველი იმაში, რომ მიუხედავად მკვლევართა უდიდესი მეცადინეობისა, ამ ძებნამ დღემდე ვერ მოგვცა დადებითი შედეგი.

მაგრამ დავუბრუნდეთ იმ საკითხს, თუ რატომ და როგორ წარმოიქმნება სიმსივნეებში ახალი ცილები. წინათ ცნობილი ყველა ინფექციური აგენტი, მათ შორის ინფექციური დაავადებათა გამომწვევი ვირუსებიც უჯრედებს არღვევენ. ნუკლეინის მჟავა ვირუსის ცილის გარსისაგან თავისუფლდება უჯრედში მისი შეღწევის შემდეგ და კონტროლს აწესებს ცილის სინთეზზე. აიძულებს უჯრედებს მოახდინონ ვირუსის ცილის და არა უჯრედის ცილების სინთეზი.

სიმსივნის ვირუსების მოქმედების ხასიათს უკანასკნელ წლებში ტულდასმით სწავლობენ არა მარტო ცხოველებზე, არამედ ქსოვილის კულტურებზეც, საიდაც უფრო ადვილია ვირუსისა და უჯრედის ურთიერთდამოკიდებულებისათვის კონტროლის გაწევა. კვლევამ, რაც ჯერ კიდევ მცირე რაოდენობის სიმსივნის ვირუსებზე ჩატარდა, ცხადყო, რომ მათი მოქმედება უჯრედზე სულ სხვანაირია, ვიდრე ინფექციურისა. სიმსივნის ზოგიერთი ვირუსისათვის უკვე გამორკვეულია, რომ მათი ნუკლეინის მჟავა ინტეგრაციას ახდენს უჯრედის გენომთან, შეაქვს მასში დამატებითი გენეტიკური ინფორმაცია. სწორედ ამის მეოხებით ხდება უჯრედის სიმსივნური ტრანსფორმაცია. სპეციალური გამოკვლევებით გამოვლინდა, რომ ეს ინფორმაცია მას შემდეგაც ჩნდება, რაც ნორმალური უჯრედი სიმსივნის უჯრედად გადაიქცა და ვირუსი სიმსივნეში აღარ ჩანს.

შეიძლება ვიფიქროთ, რომ სიმსივნის უჯრედებში ახალი ცილების სინთეზს კონტროლს უწევს უჯრედის გენომის ის ნაწილი, რომელიც მასში ვირუსმა შეიტანა. მთელი ეს პროცესი მოლეკულურ დონეზე ვითარდება. მისი შესწავლა ეს არის დაიწყო და სრული სიცსადისაგან ჯერ კიდევ შორს არის. უჯრედის გენომთან ინტეგრირებული ნუკლეინის მჟავა ყველა შემთხვევაში დაუყოვნებლივ როდი იჩენს მატრანსფორმირებელ მოქმედებას. ზოგიერთ შემთხვევაში მის ბლოკირებას ახდენენ ჯერ კიდევ უცნობი ფაქტორები, და ეს ბლოკირება ლობაო შეიძლება მოიხსნას რადიაციით და სხვა კანცეროგენული ზემოქმედებით.

ამდაგვარ ისახება კიბოს მკურნალობის მეთოდების ძებნის ახალი გზა. თუ სიმსივნის უჯრედის თვისებები განპირობებულია ვირუსის ნუკლეინის მჟავით, რომელიც ინტეგრირებულია უჯრედის გენომთან, საჭირო ვცადოთ ამ ნუკლეინის მჟავის მოშორება ან ბლოკირება. მაშინ უჯრედმა თავისი სიმსივნური თვისებები უნდა დაკარგოს.

სამწუხაროდ, არავინ არ იცის, როგორ გაკეთდეს ეს, და ყველაზე ნაკლებად იციან ეს ონკოლოგებმა. ამ მიმართულებით ძებნას განსაზღვრავს ერუდიცია გენეტიკოსებისა, რომლებმაც, ბიოქიმიკოსებთან და ფიზიკოსებთან თანამეგობრობით, შესაძლოა მონახონ უჯრედის გენომიდან ვირუსის მემკვიდრეობითი ნივთიერების მოშორების (ან ბლოკირების) საჭირო მეთოდები. შესაძლოა, რომ სიმსივნის ვირუსების მოქმედების აღწერილი მექანიზმი უმნიშვნელოვანესი დაბრკოლება იყოს ადამიანის სიმსივნეთა გამომწვევი ვირუსების აღმოჩენისათვის.

ცხოველთა ყველა სიმსივნე, რომლებიც, ბუნებრივია, ექსპერიმენტატორის ჩაურევლად წარმოიქმნება, ვირუსოლოგიური მეთოდებით გამოკვლევისას ვირუსული წარმოშობის სიმსივნეები აღმოჩნდა. შეუძლებელია წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანი გამონაკლისი იყოს ამ წესიდან. ეჭყობა, ჩვენ მაშინ ვიძებთ ვირუსებს ადამიანის სიმსივნეებში, როცა ისინი იქ აღარ არიან. ძებნა უნდა წარმართოს მეორე მხრისაკენ — ადამიანის სიმსივნეებში უნდა ვეძებდეთ უცხო წარმოშობის გენეტიკურ ინფორმაციას, რაც იქ შეუტანია ვირუსს, რომელიც უკვე გაქრა სიმსივნიდან.

კიბოს ვირუსოლოგიისა და იმუნოლოგიის ერთიანი ნაკლოვანესი საკითხები გადაწყვეტასთან ახლოა. ეს საკითხები გადაიჭრება უჯრედისა და ვირუსის ურთიერთმოქმედების შესწავლისას მოლეკულურ დონეზე ავტორიტეტულ გენეტიკურ და ბიოქიმიურ ლაბორატორიებთან თანამეგობრობით. სამწუხაროდ, ჩვენს ამ ლაბორატორიებს ჯერჯერობით არც ვირუსები აინტერესებთ და არც სიმსივნეები.

მთელი რიგი ავტორიტეტული მკვლევარები, როგორც ჩვენში, ისე საზღვარგარეთ, წინადადებას იძლევიან უკვე ახლა დავიწყოთ ადამიანთა იმუნიზაციის შესაძლებლობათა შესწავლა, იმ იმედით, რომ თავიდან ავაცილოთ კიბოს რეციდივები და მეტასტაზები იმ ავადმყოფებს, რომლებმაც ოპერაციის ხნის წინათ გაიარეს ქირურგიული მკურნალობა ან რადიოთერაპია. ანდა რემისიის მდგომარეობაში იმყოფებიან ქიმიოთერაპიის შემდეგ. ეს წინადადება დასაბუთებულია სხვადასხვა ქვეყანაში წარმოებული მრავალი ამოკვლევით, რომლებშიც ლამაჯერებოდ არის ნაჩვენები, რომ შესაძლებელია სიმსივნეებისადმი იმუნიტეტის ხელოვნურად აღდგენა სასტიკად კონტროლირებულ პირობებში.

თუ მოკლე რეზიუმეს გავუკეთებთ ყოველივე ზემოაღნიშნულს, შეიძლება ვთქვათ შემდეგი: მეცნიერებმა იციან, რა, სად და ზოგიერთ შემთხვევაში როგორ ეძებონ, რომ გადაწყვიტონ კიბოს შესწავლის ძირითადი საკითხები. მაგრამ ამ გადაწყვიტილებათა ძებნა ბევრად იქნება დამოკიდებული იმაზე, თუ რამდენად ფართოდ გაიშლება ამ დარგში კვლევის ფრონტი, რამდენად გაძლიერდება ყურადღება ამ პრობლემისადმი ჩვენს ქვეყანაში.

ლ. ზილბერი,

სსრ კავშირის მედიცინის მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი.

• • •

სურათებზე: ზემოთ — **პროფესორი ლ. ზილბერი.** ქვემოთ — **საერთაშორისო სიმპოზიუმის მონაწილეთა ერთი ჯგუფი (მარცხნიდან) — პროფესორი გ. კლაინი (შვეიცია), პროფესორი ბ. ლაპინი (სსრ კავშირი), პროფესორი ლ. ზილბერი (სსრ კავშირი), დოქტორი ო. გარიეი (ინგლისი), დოქტორი ხრაი (იაპონია), დოქტორი გ. პასტერნაკი (გდრ).**

ფოტო **გ. ტოლმაჩოვისა.**

მიხა ცხაკაიას მუზეუმი

ცხაკაია. აქ საზეიმო ვითარებაში გაიხსნა **საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიისა და საერთაშორისო კომუნისტური და მუშათა მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწის მიხა ცხაკაიას მუზეუმი.**

მუზეუმის გახსნაზე შეიკრიბა რაიონის ყველა სოფლის ასობით მშრომელი, სტუმრები მოსკოვიდან, თბილისიდან, რესპუბლიკის სხვადასხვა ქალაქებიდან და რაიონებიდან.

სურათზე: მიხა ცხაკაიას მუზეუმი ქალაქ ცხაკაიაში.

ფოტო **ი. ნანიკაშვილისა.**
(საქედესის ფოტოკორესპონდენტი).

საჩუქარი სტუდენტებს

საზღვარგარეთის ქვეყნებთან მეგობრობისა და კულტურული ურთიერთობის საქართველოს საზოგადოების მოწვევით თბილისში სტუმრად იმყოფებოდა სსრ კავშირში გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საელჩოს მრჩეველი კულტურის დარგში ჰელმუტ შლუმი. იგი ჩვენს დედაქალაქს პირველად, ამ ორიოდე თვის წინათ იწვია. მაშინ მან ქართველ მოსწავლეებს მეტრო გორდელაძისა, და სოფიო კინწურაშვილს გადასცა ნორჩ მხატვართა საერთაშორისო კონკურსში გამარჯვების მედლები. შლუმმა დათვალიერა ჩვენი უძველესი კულტურის ძეგლები, მოზეიმეები, გაეცხო გერმანული ენის სწავლებას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა და უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში. გერმანელმა სტუმარმა დათვალიერა ავრეთვე ამ უძველესი სასწავლებლების ბიბლიოთეკები და დაჰპირდა სტუდენტებს, რომ მათი წიგნების ფონდს გაამდიდრებდა ახალი გერმანული ლიტერატურით.

და აი შლუმმა დანაპირები შეასრულა. ამჯერად მან ქართველ სტუდენტებს ჩამოუტანა მდიდარი გერმანული ლიტერატურა და ორივე უმაღლეს სასწავლებელში ჩოაწყო ამ ლიტერატურის გამოფენა. 200 წიგნი შლუმმა უნივერსიტეტის ბიბლიოთეკას გადასცა, 150 — თბილისის უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტს.

გერმანელმა სტუმარმა უცხო ენათა პედაგოგიურ ინსტიტუტში სტუდენტებთან და გერმანული ენის სპეციალისტებთან წაიკითხა სანტერესო ლექცია გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის მიღწევებზე.

30 მაისს მომგებიანი ჯირაფია

30 მაისს გორკში გაიმართება სახელმწიფო სამპროცენტიანი შინაგანი მომგებიანი სესხის 105-ე მორიგი მოგების ძირითადი ტირაჟი.

სახელმწიფო შრომითი შემნახველი სალარობის და სახელმწიფო კრედიტის მთავარ სამმართველოში საყდესის კორესპონდენტს აცნობეს, რომ ამ ტირაჟში სესხის 18 თანრიგით გათამაშდება 8.370.360 მანეთის 153.000 მოგება. მათ შორის — 5.000 მანეთის 36 მოგება, 2.500 მანეთის 90 მოგება, 1.000 მანეთის 450 მოგება და ა. შ.

მოგების შემდეგი, 106-ე ძირითადი ტირაჟი გაიმართება 30 ივლისს ოდესაში. სამპროცენტიანი სესხის ყველა ტირაჟში, რომლებიც გაიმართება 1965 წელს, სესხის 18 თანრიგით გათამაშდება დაახლოებით 71 მილიონი მანეთის 1.125.000 მოგება. (საკდესი.)

სპორტი

პრეტენდენტების ყაიმი

გუშინდელ მეთექვსმეტე ტურში მეტად საინტერესო გამოდგა პირველი ადგილის ორი პრეტენდენტის რ. ჯინჯიხაშვილისა და ბ. გურგენიძის პარტია. გურგენიძემ შავებით განაპირა ცალი ხარახნისა და პაიკის შეწირვა, რის შემდეგ დაეუფლა ინიციატივას. თანდათანობით გურგენიძემ არა მარტო აღიდგინა მატერიალური დანაკლისი, არამედ ზედმეტი პაიკეკი დარჩა. რ. ჯინჯიხაშვილმა მონახა ბრძოლის გამწვავების საინტერესო გზა. მალე დაფაზე წარმოიქმნა კუთა თანაბარი ენდშპილი, პარტია ჯერ გადაიდო, მაგრამ შემდეგ მეტოქენი ყაიმზე შეთანხმდნენ.

პირველი დამარცხება განიცადა გროსმაისტერმა ე. ვასიუკოვმა. იგი აქამდე შეჯიბრების ერთადერთი მონაწილე იყო, რომელსაც არა ჰქონდა წაგება. გ. მაკაგარიანმა გროსმაისტერს ეტალი შესწირა და უძლიერესი იერიში მიიღო. ე. ვასიუკოვის მეფე საშაშთან ქსელში მოსდგა და შავებმა შეწყვეტეს წინააღმდეგობა.

ნ. გაფრინდაშვილმა თანამამდევრულად ჩაატარა შეხვედრა ე. მიქაელიანთან და კიდევ ერთი ქულა მოიპოვა. ი. ვეტოხინმა სძლია თ. ლომაიას, თ. გიორგაძემ— ჯ. ბერაძეს. ყაიმზე შეთანხმდნენ რ. ხოლმოვ-თ. კიკიანი და ო. ელიოზაშვილ-თ. კიკიანი. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

უკანასკნელ მე-17 ტურის წინ, რომელიც ხვალ გაიმართება, რ. ჯინჯიხაშვილს 12 ქულა აქვს, ბ. გურგენიძეს — 11, ე. ვასიუკოვსა და ო. ელიოზაშვილს — 10,5 თვითეულს.

სსრ კავშირის თასზე

კვლავ სიურპრიზები

მიმდინარეობს ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების მეთექვსმეტედფინალური შეხვედრები. გუშინ გაიმართა სამი ასეთი მატჩი.

ჩერნიოვცის „დინამომ“ გუნდის სტუმარი ბაკოს „ნეფტიანიკი“ იყო. ბაკოელებმა მოულოდნელი დამარცხება განიცადეს 0:1 და გამოეთიშნენ თასისათვის მებრძოლთა რიგებს.

ფერგანაში თამაშობდნენ ადგილობრივი „ნეფტიანიკისა“ და მოსკოვის „დინამოს“ გუნდები. გაიმარჯვეს სტუმრებმა ანგარიშით 2:0 და მერვედფინალში გავიდნენ.

ყარაგანდის „შახტიორს“ დედაქალაქის „ტორპედო“ ეწვია. მასპინძლები „ალისტუმართმოყვარეები“ აღმოჩნდნენ და დამარცხეს ტორპედოელები 1:0.

ფინალის პირველი ტური

ლვოვსა და ბაკოში დაიწყო ფეხბურთელთა საკავშირო ჩემპიონატის ფინალის პირველი ტური. მატჩების შედეგები ასეთია:

ლ ვ ო ვ ი. „დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (მოსკოვი) 1:2 (0:0, 0:0, 1:0, 0:2), „ტორპედო“ (მოსკოვი) — „ზრომითი რეზერვები“ (მოსკოვი) 1:2, „დინამო“ (ლვოვი) — „სპარტაკი“ (ვოლგოგრადი) 3:1.

ბ ა კ ო. „დინამო“ (კიევი) — „ბალტიკა“ (ლენინგრადი) 1:2, „ბურეგესტნიკი“ (მინსკი) — სამხედრო-საზღვაო ფლოტის გუნდი 2:4, მოსკოვის სასელმწიფო უნივერსიტეტის გუნდი — ბაკოს კფფ 3:3.

მაჯჩები და შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სხვადასხვა ქალაქში გაიმართა „ა“ კლასის მეორე ჯგუფის გუნდების მატჩები ფეხბურთში საკავშირო პირველობაზე.

პირველი ჯგუფის ზოგიერთ შეხვედრათა შედეგები ასეთია: „ტექსტილშიკი“ (ივანოვო) — „ვოლგა“ (გორკი) 2:1, „თერეკი“ (გროზნო) — „ლოკომოტივი“ (თბილისი) 2:1, „ლოკომოტივი“ (ჩელიაბინსკი) — „ტრაქტორი“ (ვოლგოგრადი) 0:0.

დინამოელთა გრწყინვალე ფინიში

გუშინ მოსკოვში გაიმართა ევროპის ჩემპიონთა თასის გათამაშების მეორე ფინალური მატჩი ფრენბურთში მოსკოვისა და ბერლინის „დინამოს“ ქალთა გუნდებს შორის. გაიმარჯვეს მოსკოველებმა 3:0 და მესამეჯერ გახდნენ თასის მფლობელები.

კიდევ ერთი საერთაშორისო

გუშინ დონის როსტოვის სკა-ს ფეხბურთელთა გუნდი საკუთარ მოედანზე საერთაშორისო მატჩში შეხვდა პოლონეთის ქ. ბიტომის გუნდს და დაამარცხა მეტოქე 1:0.

ერთ დღეს ორი ეტაპი

ერთი დღის შესვენების შემდეგ გუშინ მშვიდობის ველორბოლის მონაწილეებმა განაახლეს ბრძოლა.

დღის პირველ ნახევარში სპორტსმენებმა გაიარეს მეათე ეტაპი მარშრუტით ტატარანსკა-ლომნიცა — დელსკა-ბიალი (180 კილომეტრი). კვლავ წარმატებით გამოვიდა საბჭოთა ველორბოლი **გ. ლებედევი,** რომელიც პირველი იყო ფინიშთან. ორმეტე ეტაპზე (88 კილომეტრი), რომელსაც ფინიში ვროკოვში ჰქონდა. აქაც წარმატება საბჭოთა ველოსრბოლს **ი. მელიბოვს** ხვდა.

სპორტული ქრონიკა

◆ **თბილისში** დამთავრდა საქართველოს „ზრომითი რეზერვების“ საუბნო-ლეო სპარტაკიადა, მიძღვნილი პროფტექგანათლების სისტემის შექმნის 25 წლისთავისადმი. ფინალური შეხვედრები მოიწყო სპორტის თოთხმეტ სახეობაში. ყოველ ექსურ ჩათვლაში უძლიერესი აღმოჩნდა თბილისის პროფტექსასწავლებელი № 18.

◆ **დაიწყო** მსოფლიოს პირველობის შესარჩევი მატჩები ფეხბურთში სამხრეთ ამერიკის გუნდებისათვის. პირველად ლიმაში ერთმანეთს შეხვდნენ პერუსა და ვენესუელის გუნდები. გაიმარჯვა პერუს ნაკრებმა 1:0.



ჭადრაკის სახელმძღვანელო

ნონა გაფრინდაშვილი,

მსოფლიოს ჩემპიონი ჭადრაკში ქალთა შორის

უკანასკნელ ხანებში საქართველოში საგრძნობლად გაიზარდა ახალგაზრდობის ინტერესი ჭადრაკისადმი და ამიტომაც მწვავედ დაისვა მშობლიურ ენაზე სათანადო საჭადრაკო სახელმძღვანელოს შექმნის აუცილებლობის საკითხი. მართალია, ოთხი ათეული წლის წინათ ქართულად გამოვიდა ჭადრაკის პირველი მოკლე სახელმძღვანელო, ითარგმნა ე. ლასკერის, ხ. კაპაბლანკას, მ. ეივეს, ი. აგრეხახის წიგნები, მაგრამ ორიგინალური სრულყოფილი სახელმძღვანელო, რომელიც ხელმისაწვდომი იქნებოდა დამწყებ მოჭადრაკეთათვის, ამ ბოლო დრომდე არ ჩანდა. და აი ჩვენს წინ არის გამოცემული „განათლების“ მიერ გამოცემული **თენგიზ გიორგაძის „ჭადრაკის ანბანი“.**

მიუხედავად იმისა, რომ ქართულ ენაზე ორიგინალური საჭადრაკო სახელმძღვანელოს შექმნაში ი. გიორგაძეს წინამორბედი არა ჰყავდა, მან ეს ამოცანა წარმატებით შეასრულა. თ. გიორგაძემ შექმნა მეთოდურად გამართლებული, წარსული და თანამედროვე საჭადრაკო სკოლების მიღწევებზე დაფუძნებული სახელმძღვანელო.

„ნაშრომის მიზანია, — შენიშნავს წიგნის ავტორი, — დამწყებ მოჭადრაკეს გააცნოს ამ ბრძნული თამაშის წარმოშობისა და განვითარების ისტორია, თეორიის საფუძვლები, დიდი მოჭადრაკეების ცხოვრება — ერთი სიტყვით, ეს არის „ჭადრაკის ანბანი“.

მაგრამ წიგნის მნიშვნელობა სცილდება ავტორის ამ განცხადებას. გარდა იმისა, რომ სახელმძღვანელო დამწყებ მოჭადრაკეს ასწავლის თამაშის წესებს, გაარკვევს თეორიის საფუძვლებში, ის გარკვეულ დახმარებასაც გაუწევს მწვრთნელებს, რომლებიც ამზადებენ დაბალი თანრიგის მოჭადრაკეებს. „ჭადრაკის ანბანი“ აგებულია თამაშის პრაქტიკული სწავლების პრინციპით, ამიტომ წიგნში ბევრია სასწავლო-საილუსტრაციო მაგალითი, რომლებიც ძირითადად ამოღებულია საბჭოთა მოჭადრაკეების, მათ შორის ქართველი ოსტატების ნათამაშევი პარტიებიდან.

წინაადმდეგ დღემდე არსებული საჭადრაკო სახელმძღვანელოებისა, რომლებიც საუბარს იწყებდნენ ჭადრაკის წარმოშობის ისტორიით, თ. გიორგაძეს წინა პლანზე წამოუწევია ჭადრაკის ღირსებანი, თამაშის ახსნა, შამათის მარტივი პოზიციები და ყოველივე ამის შემდეგ ლოგიკური თანმიმდევრობით გაუშუქებია ჭადრაკის წარმოშობისა და განვითარების საკითხები, საჭადრაკო პარტიის სამი ნაწილი — ენდშპილი, მიტელშპილი, დებიუტი. წიგნის ავტორს თანდათანობით გადაუყვავარი მარტივიდან რთულ საკითხებზე, რომლებიც სათანადოდ არის ილუსტრირებული საჭადრაკო პარტიებითა და კარგად შერჩეული პოზიციებით. წიგნში განხილულია ჭადრაკის განვითარება საქართველოში.

ჩვენში ჭადრაკს ათეული ათასობით მოყვარული ჰყავს, რომელთათვის რესპუბლიკის მრავალ ქალაქში გახსნილია საჭადრაკო კლუბები, შექმნილია ნორჩი თაობის ზრდისა და დაოსტატების საუკეთესო კერები. მაგრამ კლუბები და წრეები ყველგან როდია უზრუნველყოფილი კვალიფიციური მწვრთნელებით, სათანადო ლიტერატურით. აღნიშნული სახელმძღვანელოს გამოსვლა კი ხელს შეუწყობს ამ ხარვეზის ნაწილობრივ მაინც აღმოფხვრას. იგი განსაკუთრებით დაეხმარება მასწავლებს, რომელთათვის ქართულად დღემდე არ გვქონდა სახელმძღვანელო.

რაკი ქართულ ენაზე ჭადრაკის სახელმძღვანელო შეიქმნა, იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ შემდგომში თ. გიორგაძე კიდევ უფრო სრულყოფს მას, შეავსებს ახალი საილუსტრაციო მასალებით, დიაგრამებით. ჩვენი სურვილი კი იქნებოდა ავტორს უფრო გაეფართოებინა ის ნაწილი, სადაც ლაპარაკია დებიუტებზე, მოეყვანა რაც შეიძლება ბევრი ვარიანტი და ქვევარიანტი. კარგი იქნება, თუ მომავალში მეტი ადგილი დაეთმობა კომბინაციებს.

დასასრულ ერთხელ კიდევ მადლიერებით უნდა აღვნიშნოთ გამოცემლობა „განათლების“ კოლექტივის თაოსნობა, რომლის ინიციატივითაც შეიქმნა პირველი ქართული სახელმძღვანელო ჭადრაკში. წიგნი სიყვარულით და კვალიფიცირებულად არის გამოცემული.

საქართველოს ლენინის სახელობის შრომის წითელი დროშის ორდენოსანი პოლიტექნიკური ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური საშტატო ერთეულების დასაკავებლად:

1. უმაღლესი მათემატიკის დღის სწავლების ფაკულტეტის კათედრის პროფესორი;
2. უმაღლესი მათემატიკის საღამოსა და დაუსწრებელი სწავლების ფაკულტეტების კათედრის დოცენტი და სამრეწველო ელექტრონიკის კათედრის დოცენტი (ქ. ქუთაისში).

კონკურსში მონაწილეობის მიღების მსურველებმა განცხადება უნდა შეიტანონ ინსტიტუტის რექტორის სახელზე.

განცხადებას უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები ორ ეგზემპლარად: **კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი; უმაღლესი განათლების დიპლომის, სამეცნიერო წოდებისა ან ხარისხის დიპლომების პირები, დამოწმებული არსებული წესის მიხედვით; დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან; დაბეჭდილი სამეცნიერო შრომებისა და გამოგონებების სია.**

კონკურსზე განცხადების შეტანის ვადა ერთი თვე დღიდან გამოცხადებისა. სწავლა ძირითადად ქართულ ენაზეა. ინსტიტუტი საცხოვრებელი ფართობით არ უზრუნველყოფს.

განცხადებები შეტანილ უნდა იქნას ინსტიტუტის რექტორის სახელზე მისამართით: თბილისი, ლენინის ქ. № 77.

სსრ კავშირის კალათბურთის ფედერაცია

ევროპის XIV პირველობა კალათბურთში

თბილისის სპორტის სასახლე

30—31 მაისი
1, 2, 4, 5, 6 ივნისი
1965 წ.



ეროვნული გუნდები: **ბულგარეთის, საბერძნეთის, ესპანეთის, პოლონეთის, საფრანგეთის, გფრ, შვეიცარიის და იუგოსლავიის ჯაჭვთა ნაკრები გუნდები.**

დასაწყისი 30 მაისს 15 საათზე; 31 მაისს, 1, 2, 4, 5, 6 ივნისს 16 საათზე. მიიღება განცხადები კოლექტიურ დასწრებაზე

ტელეფონი: 7-20-54; 7-01,-55; 7-20-02.

ჩვენ ვიცინოთ, ჩვენ ვოვლილოთ

თეატრები

30 მაისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — აიდა (მე-17 აბონ. მე-4 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის დიდი დრამაზი** — სამგრონიანი ოპერა (უაბონემენტოდ), **მარჯანიშვილის სახელობის** — ცახპერის ხმალი (მე-5 აბონ. მე-5 წარმოდგენა), **გრიბოედოვის სახელობის** (უკრაინის მუსიკალურ-დრამატული თეატრის გასტროლები) — მარია ტიუდორი. **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე, **ს. შაუმიანის სახელობის სომხური დრამის თეატრი** (უკრაინის მუსიკალურ-დრამატული თეატრის გასტროლები) — სიყვარული ბოდის.

ტელევიზია

30 მაისი

11.00 — კინონარკვევი, 11.20 — მხატვრული ფილმი „ეპპო“, 17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — გადაცემა მოსწავლეთათვის — „წითელყელსახვევიანი ზეიმი“, 19.20 — „ეროვნული „ჯანმრთელობა“ — გულსისხლძარღვთა დაავადების პროფილაქტიკა (გადმოცემა მოსკოვიდან), 20.00 — გადაცემა „დანტე ალიგიერი“ (დაბადების 700 წლისთავის გამო), 20.40 — ახალი ამბები, 20.55 — მხატვრული ფილმი „ეპპო“, 22.25 — გადაცემათა პროგრამა 31 მაისისათვის, 22.30 — ახალი ამბები (ესტაფეტა) (გადმოცემა მოსკოვიდან).

რადიო

30 მაისი

პირველი პროგრამით

09.15 — ქართული ხალხური სიმღერები, 11.15 — მუსიკოს შემსრულებელთა ამერკაკასიის მეორე კონკურსი: პიანისტთა მესამე ტური, 17.35 — გადაცემა მოსწავლეთათვის, 19.40 — ოლოფის სიმღერები, 20.15 — გ. ყანჩელი: ლარგო და ალეგრო სიმფონიი საკრავების, ფორტეპიანოსა და ლიტავრებისათვის, 20.30 — გადაცემა ციკლიდან — „თეატრი მიკროფონთან“ — „მე ვხედავ ზეს“ — კ. მარჯანიშვილის სახელობის თეატრის სპექტაკლი, 23.30 — „მღერის მარიო ლანცა“.

რედაქტორი
დ. მეჯლიშვილი.

კომუნისტი | თბილისი, ლენინის 14 | რედაქტორის მოადგილეების — 9-93-03, 9-03-09, 3/მ, მდივნის — 9-72-80, სამდივნოსი — 9-66-10, განყოფილებებისა: პარტიული — 9-97-61, პროფსაკავშირო — 8-22-93, მრეწველობის — 8-20-84, სოფლის მეურნეობის — 9-52-46, საბჭოთა მშენებლობის — 8-18-70, მეცნიერების, უმაღლესი სასწავლებლებისა და სკოლების — 8-27-58, ლიტერატურისა და ხელოვნების — 9-55-01, ინფორმაციის — 8-16-00, ეკონომიკის — 8-15-63, წერილების — 9-78-24, ილუსტრაციის — 8-29-51, განცხადებების — 8-93-96

ჩვენი მისამართი და ტელეფონები

КОМУНИСТИ ИНДЕКС 86443 УЦ 00653

საქ. კპ ცკ-ის გამომცემლობის პოლიგრაფკომბინატი, თბილისი, ლენინის ქ. № 14.

8